4951

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
10 მაისი
1941 წ.
№ 108 (6113)
ფასი 15 კაპ.

## დავამყაროთ წესრიგი და სისუფთავე ქალაქებში

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი ქალაქების კეთილმოწყობის დარგში. ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა ამ საქმეს უდიდეს ყურადღებას აქცევენ. ჩატარებულია კოლოსალური მუშაობა სოციალისტური ქალაქების სანიმუშო კეთილმოწყობისათვის. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენენ ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი თბილისი, ბათუმი, სოხუმი, სტალინირი, გორი, ქუთაისი და მთელი რიგი სხვა ქალაქები, რომელთაგან ბევრი ისე გამოიცვალა, რომ ვეღარ იცნობთ.

თბილისი დღეს ერთერთ სანიმუშო დედაქალაქს წარმოადგენს საბჭოთა კავშირში. თბილისის კეთილმოწყობაში განსაკუთრებული ღვაწლი პირადად ამხ. ლ. პ. ბერიას მიუძღვის. მან დაგვისახა ამ 8 წლის წინათ თბილისის სანიმუშო დედაქალაქად გადაქცევის ისტორიული ამოცანა და მთელი რიგი წლების განმავლობაში უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქალაქის სარეკონსტრუქციო ღონისძიებების გატარებას. თბილისის ბოლშევიკები ამხ. ლ. პ. ბერიას მითითების მიხედვით განაგრძობენ შეუნელებელ მუშაობას დედაქალაქის შემდგომი, უკეთესი კეთილმოწყობისათვის. ამას მოწმობს ის გაშლილი ღონისძიებანი, რომელნიც დასახა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის IV პლენუმმა საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და მოწესრიგების საქმეში. თბილისის ბოლშევიკების საქალაქო მეურნეობაზე და მშრომელთა კეთილდღეობის ზრდაზე უდიდეს ზრუნვას მოწმობს 7 მაისს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს V სესიის მიერ დამტკიცებული 1941 წლის ბიუჯეტიც, რომელიც ითვალისწინებს მილიონობით მანეთების დახარჯვას კომუნალური, საბინაო მშენებლობისა და სოც-კულტურული ღონისძიებებისათვის.

მიმდინარე წელს საქალაქო მეურნეობაზე ყველა მასში შემავალი დარგებით ათვისებულ უნდა იქნას 171.158.000 მანეთი. ამ თანხის ათვისება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს დედაქალაქის ხელმძღვანელ მუშაკებს, რომელთაც ისე უნდა აწყონ თავისი მუშაობა, რომ გამოუყენებელი არ დარჩეს ამათუიმ ღონისძიების გასატარებლად გათვალისწინებული არცერთი მანეთი. რადგან ბიუჯეტის რომელიმე ნაწილში გათვალისწინებული თანხის აუთვისებლობა გავლენას ახდენს ქალაქის მცხოვრებთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

ქალაქის მოსახლეობის კულტურული დონე უჩვეულოდ გაზრდილია.

კულტურისა და წესრიგის მხრივ კი ჩვენს ქალაქებში და კერძოდ თბილისში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ჭუჭყს, სიბინძურეს, უწესრიგობას, მტკიცედ დავიცვათ სისუფთავე და წესრიგი.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ჩვენს ქალაქებში ბევრნი საბინაო ფონდს არ უფრთხილდებიან, ეზოებიდან ნაგავი დიდხნობით არ გააქვთ, დაუზოგველად იხარჯება ელექტროენერგია, წყალი და ამას სახლთმმართველობები ყურადღებას არ აქცევენ.

ასეთ ფაქტებს, სამწუხაროდ, ვხვდებით, ხოლო სავალალო ის არის, რომ საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასკომები და ქალაქის ადმინისტრაცია ამ უმსგავსოებებს ზოგჯერ მთელი სისასტიკითა და თანამიმდევრობით ვერ ებრძვიან.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მრავალი ღონისძიება გატარდა თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და მოწესრიგების საქმეში, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არ ხდება დასახულ ღონისძიებათა და სავალდებულო დადგენილებათა განხორციელების სისტემატური შემოწმება, ყოველთვის არ სწარმოებს კონტროლი.

საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასკომებმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ. დაჟინებით უნდა იბრძოლონ მიღებულ დადგენილებათა გატარებისათვის და პირველ რიგში თვითონ არ ივიწყებდნენ მათ.

საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასკომებმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან ამ მხრივ თავიანთი მუშაობა. კარგი და მოსაწონია მსხვილი, კაპიტალური, ფართო კომუნალური და საბინაო მშენებლობის წარმოება, მაგრამ თუ არ იქნება ზრუნვა ქალაქში სისუფთავისა და ელემენტარული წესრიგის დაცვისათვის, თუ არ გავუფრთხილდებით საქალაქო მეურნეობას—ამ უმდიდრეს სახალხო დოვლათს, ამ კარგ ღონისძიებებს ფასსა და მნიშვნელობას დავუკარგავთ.

ამ მხრივ უნდა წარმართოს ახლა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობა და ამაში მათ უაქტიურესი დახმარება უნდა გაუწიონ საბჭოების დეპუტატებმა, მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

## ვ. რ. ვილიამსის ძეგლი მოსკოვში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა მოიწონა გამოჩენილი მეცნიერის — ბოლშევიკ აკადემიკოსის ვ. რ. ვილიამსის ძეგლის პროექტი.

ძეგლი აგებულ იქნება მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ტერიტორიაზე.

ძეგლის საძირკვლად გამოყენებულია ოთხწახნაგოვანი კვარცხლბეკი, რომელიც გრანიტით იქნება მოპირკეთებული. ამ კვარცხლბეკზე დაიდგმება მეცნიერის ბრინჯაოს ფიგურა.

## საუკეთესო პიესაზე გამოცხადებული სრულიად-საკავშირო კონკურსის შედეგები

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა შეაჯამა საუკეთესო პიესაზე გამოცხადებული სრულიად-საკავშირო კონკურსის შედეგები; ამ კონკურსის პირველი ტური მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარეობდა. კონკურსმა გვიჩვენა ავტორების — პროფესიონალი დრამატურგებისა და დამწყები დრამატურგების შემოქმედებითი აქტივობა.

კონკურსის პირველ ტურზე რუსეთის სფს რესპუბლიკაში შემოვიდა დაახლოებით 1000 პიესა, უკრაინის სს რესპუბლიკაში—400-ზე მეტი პიესა, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 100-ზე მეტი, სომხეთის სს რესპუბლიკაში — დაახლოებით 100 პიესა და სხვ.

რესპუბლიკური კონკურსების შედეგები განიხილა სრულიად-საკავშირო ჟიურიმ სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. მ. მოსკვინის თავმჯდომარეობით. საუკეთესო პიესებს რესპუბლიკური პრემიები მიეკუთვნათ. სრულიად-საკავშირო ჟიურიმ განიხილა წარმოდგენილი პიესები და მიიღო გადაწყვეტილება დამატებით სრულიად-საკავშირო პრემიები არავის მიაკუთვნოს.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში პრემიები მიეცათ დ. შჩეგლოვის პიესას „სამპოს საუნჯე“ (ლენინგრადი), ვ. პანოვას პიესას „ძველი მოსკოვი“ (ლენინგრადი), ა. აფინოგენოვის „მაშენკას“ (მოსკოვი) და წასახალისებელი ჯილდო — ა. ბარანოვის პიესას „ქორწილი ურალში“ (სვერდლოვსკი).

უკრაინის სს რესპუბლიკაში მეორე პრემია მიეკუთვნა ლ. პერვომაისკის პიესას „ოლექსა დოვბუში“. წასახალისებელი ჯილდოები მიეცათ მ. ბერგერის პიესას „მთის არწივი“, ქ. გერასიმენკოს „ლეგენდას“, ნ. იატკოს „სიმართლის წყაროს“, ი. კოჩერგის პიესას „გამოცდა ანატომიაში“ და ვ. სუხოდოლსკის „სიცოცხლის ქებას“.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში პირველი პრემია მიეკუთვნა ვ. ვოლსკის პიესას „ნესტერკა“ („ნასტიას ქორწილი“) და მესამე პრემია — კ. ჩორნის პიესას „ირინკა“.

წასახალისებელი ჯილდო მიეცათ ი. ვაკელის პიესას „გიორგი სააკაძე“ და ლ. გოთუას პიესას „ერეკლე მეფე“ (საქართველო), ო. სარიველის „ბაბეკს“ და ა. დარბნის პიესას „როდის ჰყავის ია“ (აზერბაიჯანი), ლ. კაჯივორიანის პიესას „გევორქ მერზპეტუნი“ (სომხეთი).

ამას გარდა, რესპუბლიკური კონკურსის მონაწილეთა რიცხვიდან გამოყოფილია 50-ზე მეტი ავტორი, უმთავრესად ახალგაზრდები, რომლებსაც დაევალათ თეატრებთან ერთად დამატებით დაამუშაონ საკონკურსოდ წარმოდგენილი პიესები და შექმნან ახალი დრამატული ნაწარმოებები.

მოსკოვი, 8 მაისი (საკდესი).

## არაჩვეულებრივი მოვლენა

სნიატინსკის რაიონის კარპატის პირეთის სოფელ რუსივის (სტანისლავის ოლქი) გლეხმა ვასილ კუზლიკმა ამ დღეებში მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მისი სახლი... იძვრის. 4 დღის განმავლობაში შენობამ საერთოდ 8 მეტრით გადაიწია სამხრეთისაკენ.

ამით მთელი სოფელი დაინტერესდა. გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრებანი. როგორც მალე გამოირკვა, ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იმის შედეგია, რომ სოფლიდან 400 მეტრზე მდებარე მთის ნაწილი ქვემოთ ჩამოწვა. ჰფიქრობენ, რომ მთის ჩამოწოლა შარშანდელი მიწისძვრით არის გამოწვეული.

## სასკოლო ფილმოტეკები

რუსეთის სფს რესპუბლიკის 15 ოლქში, მხარესა და ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე წელს შექმნილია დიდი სასკოლო ფილმოტეკები. ყველა სკოლას, რომლებსაც ვიწროაფსკიანი აპარატები აქვთ, შესაძლებლობა ეძლევა მეცადინეობის დროს მოახდინონ ფილმების დემონსტრაცია. ასეთი აპარატი 6.000-ზე მეტ სკოლას მოეპოვება. ახალი სასწავლო წლისათვის ასეთ აპარატს მიიღებს კიდევ 1200 სკოლა. ეწყობა 10 ახალი ფილმოტეკი — ვორონეჟის, კუიბიშევის, ლენინგრადის, მოლოტოვის, სტალინგრადისა და იაროსლავლის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში, ყირიმში, თათრეთსა და ჩუვაშეთში. სულ მიმდინარე წელს იმუშავებს 30 სამხარეო, საოლქო და რესპუბლიკური და 93 რაიონული ფილმოტეკი.

სასწავლო წლის დამდეგისათვის გამოშვებულ იქნება დაახლოებით ორი ათეული ახალი ფილმი სკოლებისათვის. მათ შორის — „აფრიკის ცხოველთა სამყარო“, „ხმელეთის საუკუნეებრივი რყევა“, „მდინარე დონი“, „ტიან-შანის მთებში“, „არტეკის დღე“, „ძველი ეგვიპტის ძეგლები“, „ვ. ი. ლენინის მუზეუმი“. ამას წინათ რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომმა ლატვიის სს რესპუბლიკაში ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სკოლებისათვის 47 სასწავლო ფილმი გაგზავნა.

მოსკოვი, 8 მაისი (საკდესი).

## ექსტერნატი უმაღლეს სასწავლებლებთან

24 აპრილს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული ექსტერნატის დებულება.

ექსტერნად გამოცდების ჩაბარება ნებადართულია ეკონომიურ, იურიდიულ და ხელოვნებათმცოდნეობის უმაღლეს სასწავლებლებში, უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში; გამოცდების ჩაბარება შეიძლება ფილოსოფიურ, ისტორიულ, ფილოლოგიურ, ეკონომიურ, იურიდიულ, მათემატიკურ და თეატრისმცოდნეობის სპეციალობაში. ექსტერნატის წესით გამოცდების ჩაბარების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს ასაკის მიუხედავად, თუ მას დამთავრებული აქვს საშუალო განათლება.

ექსტერნებს სახელმწიფო გამოცდებს მხოლოდ მაშინ ჩააბარებინებენ, როდესაც მათ ჩაბარებული ექნებათ არჩეული სპეციალობის სასწავლო გეგმის ყველა ჩათვლა და გამოცდა. ექსტერნებმა სასწავლო გეგმის ჩათვლები და გამოცდები უნდა ჩააბარონ 6 წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც დაშვებული იყვნენ საექსტერნო გამოცდებზე. სახელმწიფო გამოცდები საერთო საფუძველზე ეწყობა ამ სპეციალობისათვის დაწესებული საგამოცდო სესიის პერიოდში.

ექსტერნს, რომელიც სახელმწიფო გამოცდებს ჩააბარებს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი ეძლევა.

გამოცდებისათვის დაწესებულია შემდეგი სასყიდელი: თვითეულ საკურსო გამოცდასა თუ ჩათვლაში—10 მანეთი, სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებაში — 25 მანეთი. (საკდესი).

## სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის წინ

პავილიონში „მელიორაცია და ტყის ნარგავები“ გაიხსნება მელიორატიულ სამუშაოთა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობისადმი მიძღვნილი ახალი დარბაზი. მეფის რუსეთში უკანასკნელი 35 წლის მანძილზე სარწყავი ფართობი მხოლოდ 300 ათასი ჰექტარით გაიდიდა. საბჭოთა კავშირში, მასობრივი სახალხო მშენებლობების შედეგად, მარტო 2 წლის განმავლობაში მორწყულია 553,6 ათასი ჰექტარი ახალი მიწა. აშენებულია 68 არხი 5.422 კილომეტრი საერთო მანძილით. ყოველწლიურად უდაბნოების ნაცვლად ვიღებთ ახალ მიწებს, რომლებიც აყვავილებულ ბაღებად და ვენახებად იქცევიან. დარბაზში სდგამენ საკოლმეურნეო წყალსატევის დიდ მაკეტს, რომელიც დამთვალიერებლებს გააცნობს მის კომპლექსურ გამოყენებას. 1940 წელს ჩვენს ქვეყანაში აშენებულია 17.073 ახალი გუბურა.

მოსკოვი, 8 მაისი (საკდესი).

## საქართველოს პავილიონი მზად არის გამოფენის გახსნისათვის

**მოსკოვი**, 9 მაისი (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). საქართველოს სსრ პავილიონი უკვე სავსებით მზად არის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნისათვის. ამ დღეებში პავილიონს ჩაიბარებს მთავარი საგამოფენო კომიტეტის კომისია. პავილიონის მუშაკთა მთელი კოლექტივის ენერგიული მუშაობის შედეგად, პავილიონი ჩაბარებისათვის მზად იყო დანიშნულ ვადაზე 8 დღით ადრე. პავილიონის რემონტი და გაფორმება მოკლე ვადაში დამთავრდა. დარჩენილია მხოლოდ იმ ნატურალური ექსპონატების განლაგება, რომლებიც საწყობებში ინახება. ეს მოხდება გამოფენის გახსნამდე ერთი დღით ადრე.

ამჟამად პავილიონში სწარმოებს ექსკურსიების გამძღოლთა მომზადება. თბილისიდან ჩამოსული გამძღოლთა ჯგუფი დეტალურად ეცნობა პავილიონის შინაარსს მთავარი აგრონომის ამხ. ქარციეაძის ხელმძღვანელობით.

წელს პავილიონი კიდევ უფრო მოხდენილი და საზეიმოდ მორთული წარსდგება მნახველთა წინაშე, ვიდრე წინათ. განსაკუთრებით მოხდენილია ჩაის კულტურის ახალი გაფორმება. ამ სტენდის ცენტრში აღმართულია რამდენიმე უზარმაზარი ვაზა, რომლებიც გაკეთებულია პავილიონის მთავარი მხატვრის პროფ. სიდამონ-ერისთავის ნახატის მიხედვით.

მთელი ეს სტენდი თვალსაჩინო ილუსტრაციაა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 25 აპრილის დადგენილების სიტყვებისა, რომლებიც აქვე მოყვანილია მინაზე დახატული დიდი ასოებით: „უზრუნველყოფილ იქნას ჩაის არსებული პლანტაციების მოსავლიანობის გადიდება იმ ანგარიშით, რომ 1944 წელს მოკრეფილ იქნას არანაკლებ 90.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი...“ სტენდი დაწვრილებით მოგვითხრობს ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის, ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მუშაობის შესახებ.

სუბტროპიკული კულტურების დარბაზში სპეციალური სტენდი დათმობილი აქვს ზუგდიდის რაიონს, საქართველოს მოწინავე რაიონს, რომელმაც მოიპოვა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება. ამ სტენდის ცენტრშია რაიონის რელიეფური რუკა, ხოლო მის გარშემო—დიაგრამები და ფოტოსურათები, რომლებიც მოგვითხრობენ იმას, თუ როგორ შეიქმნა რაიონში ბოლშევიკების ნებისყოფით სუბტროპიკული მეურნეობა. სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის ამ რაიონის 5 კოლმეურნეობა, 1 საბჭოთა მეურნეობა, 43 მოწინავე და რაიონული გაზეთი „მებრძოლი“ დაჯილდოებულ იქნენ მთავრობისა და მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ. პავილიონში მომსვლელი აქ ნახავს ქალ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის დიდ პანორამას, რაიონის ჩაის პლანტაციებს, ფოტოსურათებს, რომლებიც მოგვითხრობენ სოფ. ორსანტიის ბეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობაზე. ცალკე ვიტრინაზე კარგად შერჩეულია ინგურის ქაღალდის კომბინატის პროდუქციის ნიმუშები.

საქართველოს სსრ პავილიონი ვადამდე გათორმებისათვის მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ შეტანილია წითელ დაფაზე.

ვ. ყარა-მურზა

## მეორე საანგარიშო სამშენებლო გამოფენა

სამშენებლო ორგანიზაციები ემზადებიან სსრ კავშირის მშენებლობის სახალხო კომისარიატის მეორე საანგარიშო გამოფენისათვის, რომელიც მაისში იხსნება მოსკოვში.

მეორე საანგარიშო გამოფენის მონაწილეთა რიცხვი და ექსპონატების რაოდენობა ბევრად მეტი იქნება, ვიდრე შარშან. გამოფენის ტერიტორიაზე ამთავრებენ მექანიზაციის ახალი პავილიონის აგებას. იწყება პავილიონის—მინის ჰოჭონაქებისაგან გაკეთებული ექსპონატის მშენებლობა. მინისაგანვე გაკეთებულ იქნება მისი მთელი შინაგანი მოწყობილობაც — ტიხრები, კარები, კიბე და სხვ.

ამჟამად ამთავრებენ გამოფენის კანდიდატთა შერჩევას. (საკდესი).

## სომხური ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა ჩასვლა მოსკოვში

8 მაისს საღამოს მოსკოვში ჩამოვიდნენ სომხური ლიტერატურის დეკადის მონაწილენი. კურსკის ვაგზალში მატარებლის მოსვლამდე დიდი ხნით ადრე შეიკრიბნენ დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის არიან: ამხ. ქ. ტრენევი, ს. მიხალკოვი, ვს. ვიშნევსკი, ვ. კატაევი, ვ. კირპოტინი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სურენ კოჩარიანი, გამომცემლობათა მუშაკები, პრესის წარმომადგენლები.

დეკადაში მონაწილეობის მისაღებად 29 კაცი ჩამოვიდა. მათ შორის — ორდენოსანი მწერლები არაზი, დერენიკ დემირჩიანი, სტეფანე ზორიანი, ნაირი ზარიანი, გეგამ სარიანი, გურგენ ბორიანი, სომხეთის უდიდესი თანამედროვე პოეტი ავეტიკ ისააკიანი, მწერალი და დრამატურგი, სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მიქაელ მანუელიანი, პოეტი ქალები ახავნი და რიფსიმე პოღოსიანი, ლიტერატურათმცოდნე პროფესორი გევორქ აბოვი, სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მდივანი სირასი.

ვაგზალში მოკლე მიტინგი გაიმართა. სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სახელით დეკადის მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა ამხ. ვს. ვიშნევსკი. საპასუხო სიტყვაში ორდენოსანმა პოეტმა ნაირი ზარიანმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მათ მეგობრული, გულთბილი შეხვედრისათვის.

დეკადა 10 მაისს გაიხსნება მოსკოვის მწერალთა კლუბში. (საკდესი).

## მარცვლეულ-პარკოსან კულტურათა დამზადების ფასების შესახებ

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის ა. წ. 26 აპრილის ბრძანებით, 1941 წლიდან დაწესებულია მარცვლეულ - პარკოსან კულტურათა (ბარდა, ოსპი, ლობიო, მუხუდო, თერო, ცერცვი და მაშა ლობიო) დამზადების შემდეგი სახელმწიფო ფასები:

ჩვეულებრივი, მსხვილთესლა ოსპისა—20 მანეთი, წვრილთესლა ოსპისა — 12 მანეთი ცენტნერში;

თეთრი, მწვანე და ყვითელი ბარდისა — 16 მანეთი 10 კაპ., რუხი ბარდისა — 10 მანეთი 50 კაპ., მუხუდოსი და მაშა ლობიოსი — 16 მან. 50 კაპ., თეროსი — 12 მანეთი ცენტნერში;

ერთტიპოვანი ფერის მინდვრის ჩვეულებრივი ლობიოსი და მინდვრის სასურსათო ცერცვისა — 20 მანეთი ცენტნერში; ხოლო ნარევი ფერის ლობიოსი — 15 მანეთი ცენტნერში; ცერცვისა — 13 მანეთი ცენტნერში.

კოლმეურნეობებს ნება ეძლევათ ჩააბარონ მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები სავალდებულო ჩაბარების და მტს-ების სამუშაოთა ნატურ საზღაურის წესით, მარცვლეული კულტურების ნაცვლად შემდეგი ეკვივალენტით:

40 გირვანქა მსხვილთესლა ოსპი, თეთრი, მწვანე და ყვითელი ბარდა, მუხუდო, მაშა ლობიო და ლობიო — 60 გირვანქა ხორბლის, 70 გირვანქა ჭვავის ან 80 გირვანქა სხვა მარცვლეული კულტურების ნაცვლად;

40 გირვანქა წვრილთესლა ოსპი, რუხი ბარდა, თერო და ცერცვი — 40 გირვანქა ხორბლის, 45 გირვანქა ჭვავის ან 47 გირვანქა სხვა მარცვლეული კულტურების ნაცვლად. (საკდესი).

## ახალი ცნობები ცენტრალური არქტიკის შესახებ

### საუბარი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსთან, საბჭოთა კავშირის გმირთან ამხ. ე. კ. ფიოდოროვთან

არქტიკის ცნობილმა მკვლევარმა ფრიტიოფ ნანსენმა დაახლოებით 50 წლის წინათ ხომალდ „ფრამით“ დრეიფის დროს პირველი სამეცნიერო მასალა შეაგროვა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის შესახებ. მაგრამ ძალიან ბევრი რამ, რაც გამოურკვეველი დარჩა, მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ცხადჰყვეს საბჭოთა პოლარელებმა.

მოდრეიფე სადგურმა „ჩრდილოეთის პოლუსმა“ შეისწავლა ცენტრალური არქტიკის ვეებერთელა რაიონი — პოლუსსა და გრენლანდიის ზღვის სამხრეთის განედებს შორის. მოდრეიფე ხომალდ „გიორგი სედოვის“ ექსპედიციამ არქტიკაში 27 თვის განმავლობაში ყოფნის დროს უძვირფასესი სამეცნიერო მასალა შეაგროვა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის უზარმაზარი რაიონის შესახებ — ლაპტევების ზღვიდან გრენლანდიის ზღვამდე. ბუნებრივია, რომ პოლარელებს მეტად აინტერესებდათ: როგორია იმ ვრცელი რაიონის ბუნება, რომელიც მდებარეობს შორს, ვრანგელის კუნძულის ჩრდილოეთით „მიუწვდომლობის პოლუსის“ ზღუდეებზე.

15 წლის წინათ ცენტრალური არქტიკის ამ რაიონს გადაუფრინა ამუნდსენის ექსპედიციის დირიჟაბლმა „ნორვეგიამ“. ამ ოლქის „განაპირას“ ამერიკელი პოლარელის გ. ვილკინსის თვითმფრინავი ყინულზე დაეშვა. რა მოუტანა მეცნიერებას ამ ორმა ფრენამ? იმის მტკიცება, რომ „მიუწვდომლობის პოლუსის“ რაიონში მიწა არ არსებობს, და ოკეანის სიღრმის გაზომვის ერთადერთი შედეგი (5.440 მეტრი). თუმცა ვილკინსი, რომელმაც გაზომვა პატარა ექოლოტით მოახდინა, ამ ციფრსაც საეჭვოდ სთვლიდა.

ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის რეჟიმის საცოდნელად, საჭიროა ოკეანის სხვადასხვა რაიონებში შესწავლილ იქნას ყინულების დრეიფი, დინებანი სხვადასხვა ჰორიზონტებზე, წყლის ქიმიური შედგენილობა და ტემპერატურა, მეტეოროლოგიური ვითარება. საჭიროა აგრეთვე გვქონდეს ცნობები მაგნიტოლოგიისა და გრავიტაციის დარგში.

„სსსრ ნ-169“ თვითმფრინავის მაღალგანედის ექსპედიციამ სამ მოდრეიფე ყინულზე ყოფნის ხანმოკლე ვადაში შესძლო გაეწია კომპლექსური სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა. ექსპედიცია ჩინებულად არის აღჭურვილი და უზრუნველყოფილია სამეცნიერო მოწყობილობით. გრავიტაციულ, მაგნიტურ და ჰიდროლოგიურ დაკვირვებათა ხელსაწყოები აგებულ იქნა არქტიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში უწინდელი ექსპედიციების — „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურისა და „სედოვის“ გამოცდილების გათვალისწინებით. „სსსრ ნ-169“ თვითმფრინავს აქვს, კერძოდ, სრულყოფილი ხელსაწყო — ნახევრადავტომატი გრავიტაციული დაკვირვებისათვის. როცა მას მომართავს და აამუშავებს, მეცნიერ თანამშრომელს შეუძლია გასწიოს სხვა მუშაობა, რადგან ხელსაწყო დამოუკიდებლად იმოქმედებს.

რა მოგვცა მაღალგანედის ექსპედიციამ?

ვილკინსის მიერ მოწოდებულ ციფრზე დაყრდნობით, ბევრი მეცნიერი ჰფიქრობდა, რომ ოკეანის ამ ნაწილში დიდი ღრმული არსებობს. ახლანდელ გაზომვათა შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ღრმულები აქ, თუმცა მკვეთრად იცვლება, მაგრამ მაინც არა იმდენად დიდია, როგორც წინათ ჰფიქრობდნენ.

დამტკიცებულია, რომ ატლანტის თბილი წყლის ფენა, რომელიც „ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურმა და სედოველებმა აღმოაჩინეს, განსაზღვრულ სიღრმეზე ვრცელდება ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის მთელ ვეებერთელა აუზში.

ექსპედიციის მაგნიტურმა დაკვირვებებმა მოგვცეს სიდიდენი, რომლებიც განსხვავდებიან იმათგან, რაც დღემდე დადგენილი იყო მხოლოდ თეორიულად.

გრავიტაციულ გაზომვათა ცნობები, რომლებსაც გამოანგარიშებათა შედეგად მივიღებთ, საფუძველს მოგვცემენ ამ რაიონში დედამიწის სიმრუდის გამოანგარიშებისათვის, მოგვცემენ ცნობებს დედამიწის ზურგის აღნაგობის შესახებ.

ექსპედიციის მეტეოროლოგიური ცნობები შეჰქონდათ ჩრდილოეთის ნახევარსფეროს სინოპტიკურ რუკაზე. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ არქტიკის უკანასკნელი ექსპედიციების გამოცდილებით გამდიდრებულ სინოპტიკოსებს ამჟამად უკვე საკმაოდ სწორი წარმოდგენა აქვთ ატმოსფერულ პროცესების განვითარებაზე ცენტრალურ არქტიკაში. მაღალგანედის ექსპედიციის მონაცემები თანადაემთხვნენ საბჭოთა სინოპტიკოსების წინასწარ ვარაუდებს.

ექსპედიციის სამეცნიერო ნაწილი წარმოდგენილია ამხ. ლიბინის, ოსტრეკინისა და ჩერნიგოვსკის მიერ. ყველა მათგანი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს არქტიკაში, ყოველ მათგანს წარსულში აქვს პოლარულ სადგურებში მუშაობის დიდი გამოცდილება.

ექსპედიციამ ღირსეულად შეასრულა დაკისრებული დავალება არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით.

მოსკოვი, 8 მაისი (საკდესი).

## ახალი საზღვაო სამგზავრო ხაზი

**ოდესა**, 6 მაისი (საკდესი). გაიხსნა ახალი საზღვაო სამგზავრო ხაზი ოდესა-მარიუპოლი-ბათუმი. აქ ივლის კომფორტიანი თბომავალი „ლვოვი“ და „ბელოსტოკი“. გუშინ მარიუპოლიდან ბათუმს პირველად გაემგზავრა თბომავალი „ლვოვი“.

## ა. მ. გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის გამსვლელი სესია

7 მაისს გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის გამსვლელი სესიის მე-5 სხდომას თავმჯდომარეობდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ა. ალადაშვილი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ - კორესპონდენტმა, გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ნ. გრაშჩენკოვმა გააკეთა მოხსენება თემაზე — „სეზონური ენცეფალიტების კლინიკა და ჰისტოპათოლოგია“. მოხსენების დროს უჩვენებდნენ დიაპოზიტივებს.

სტალინის პრემიის ლაურეატის პროფ. ა. სმოროდინცევის მოხსენება მიძღვნილი იყო სეზონური ენცეფალიტების ეპიდემიოლოგიისა და ვირუსული დახასიათებისადმი. სტალინის პრემიის ლაურეატის პროფ. პ. პეტრიშჩევას მოხსენება ეხებოდა ახალ მონაცემებს ადამიანის ტრანსმისიური დაავადებებისა და მათი გადამტანების შესახებ სსრ კავშირში.

კავკასიის ტკიპით გამოწვეული შებრუნებითი ტიფის შესახებ მოხსენება გააკეთა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფ. ს. კანდელაკმა.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. ნ. მახვილაძის მოხსენება ეხებოდა „C“ ვიტამინის ნაკლებობას მალარიის დროს და ასკორბინული სიმჟავის მნიშვნელობას მისი ეფექტური მკურნალობისათვის. პროფესორმა ა. ხატენევერმა მოხსენება გააკეთა ტულარემიის ეპიდემიოლოგიისა და დიაგნოსტიკის შესახებ. პროფ. პ. შუშანიამ გააკეთა მოხსენება: სისხლდენის დამოკიდებულება წელიწადის დროზე ჰემორაგიული მეტროპატიებისას.

დასასრულ სხდომის თავმჯდომარემ პროფ. ა. ალადაშვილმა მოკლედ შეაჯამა სესიაზე მოსმენილი მოხსენებანი.

სესიის 8 მაისის სხდომას თავმჯდომარეობდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ვ. ჟღენტი. ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: პროფ. ზ. ერმოლიევასი „ლითიური აგენტების — ბაქტერიოფაგისა და ლიზოციმის შესახებ“, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. გ. წულუკიძისა — „ბაქტერიოფაგი, როგორც მკურნალობითი ფაქტორი ე. წ. ქირურგიული ინფექციების დროს“, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. ქ. ერისთავისა — „თანამედროვე შეხედულებანი ინფიცირებული ჭრილობების მკურნალობაზე“, პროფ. ა. სმოროდინცევისა — „გრიპის ეტიოლოგია და იმუნოლოგია“, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. გ. ღამბარაშვილისა — „ძვლის სარკომა რენტგენის სხივებით ექსპერიმენტული დასხივების შემდეგ“, დოც. გ. დიდებულიძისა — „ქსოვილოვანი სითხის მიღებისა და მისი შემადგენლობის შესწავლის საკითხისათვის“.

# უკანასკნელი ცნობები

## ინგლის-გერმანიის ომი

**ლონდონი**, 9 მაისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 8 მაისს, ღამით, მოწინააღმდეგის ავიაცია გააფთრებით დაესხა მდინარე ჰამბერის რაიონს და ცენტრალური ინგლისის ჩრდილოეთი ნაწილის ორ რაიონს. მდინარე ჰამბერის რაიონში გამოწვეულია მნიშვნელოვანი ნგრევა. როგორც ეტყობა, მოსახლეობაში მსხვერპლი დიდია. ცენტრალური ინგლისის ჩრდილოეთი ნაწილის ერთი რაიონი მნიშვნელოვნად არის დაზარალებული, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, მსხვერპლი მცირეა. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე აღმოსავლეთ და სამხრეთ ინგლისის ბევრი რაიონი, მათ შორის ლონდონის ერთი რაიონიც. სერიოზულად მხოლოდ თითო-ოროლა პუნქტი დაზარალდა. მოსახლეობაში არის რამდენიმე მოკლული. ღამით ინგლისში ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 10 თვითმფრინავი და საფრანგეთში—1 თვითმფრინავი.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ავიაცია 8 მაისს, ღამით ინტენსიურად დაესხა გერმანიის ბევრ რაიონს მათ შორის ჰამბურგსა და ბრემენს.

**ბერლინი**, 9 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 8 მაისს, ღამით, მოწინააღმდეგის ავიაციის მნიშვნელოვანმა ძალებმა ყუმბარა დაუშინეს ჩრდილოეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ გერმანიის რამდენიმე რაიონს, მათ შორის ჰამბურგსა და ბრემენს. საჰაერო თავდაცვამ შესძლო გაეფანტა მტრის ავიაციის შენაერთები და შეემცირებინა თავდასხმების ეფექტიანობა. ცნობები იმის შესახებ, რომ ზარალი მნიშვნელოვანია, დღემდე არ მოსულა. ღამით ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 5 თვითმფრინავი.

## იტალიის ცნობა

**რომი**, 9 მაისი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება, რომ გუშინ იტალიის ავიაციამ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში სამჯერ მიიტანა იერიში ინგლისის გემების დიდ ქარავანზე, რომელსაც ჰბადრაგობდა ორი სახაზო გემი, ავიონსანი და რამდენიმე კრეისერი და საესკადრო ნაღმოსანი. ტორპედირებულ იქნა ორი კრეისერი, ერთი საესკადრო ნაღმოსანი და ერთი დიდი წყალწყვის გემი. დაზიანდა ერთი სახაზო გემი, ავიონსანი და 2 დიდი წყალწყვის გემი. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 13 თვითმფრინავი. იტალიის 5 თვითმფრინავი ბაზებში არ დაბრუნებულა. იტალიის 3 თვითმფრინავი დაზიანებულია. გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა ინგლისის 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ეგეოსის ზღვაში იტალიის საზღვაო ქვეითმა ნაწილებმა ავიაციის დახმარებით დაიკავეს კუნძულები სამოსი და ფურნი. იტალიის ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა ნაღმები ესროლეს ინგლისის 2 დიდ გემს და 7 ათასი ტონა წყალწყვის ერთ კრეისერს.

## ომი აფრიკაში

**რომი**, 9 მაისი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში, ტობრუკის ფრონტზე, საარტილერიო სროლა იყო. 7 მაისს, ღამით, ინგლისის საჰაერო და საზღვაო ძალებმა ყუმბარა დაუშინეს ბენგაზს. არის რამდენიმე მსხვერპლი და გამოწვეულია უმნიშვნელო ნგრევა. გერმანიის ავიაციამ იერიში მიიტანა მტრის ხომალდებზე და სანავსადგურო ნაგებობებზე ტობრუკში. სერიოზულად დაზიანდა ორი გემი.

აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის ჯარის ნაწილებმა ხანგრძლივი საარტილერიო და საჰაერო ბომბარდირების შემდეგ დაიკავეს იტალიელთა ერთი პოზიცია ამბა-ალაგის სექტორში, მაგრამ იქიდან განდევნილ იქნენ, ამასთან მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ.

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**, 9 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 8 მაისს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენებმა, ჰამბურგსა და ბრემენზე თავდასხმის გარდა, იერიში მიიტანეს აგრეთვე ბერლინზე, ემდენსა და სხვა ობიექტებზე. თავდასხმებში ინგლისის თვითმფრინავების არაჩვეულებრივად დიდი რაოდენობა მონაწილეობდა.

## ომი ზღვაში

**ნიუ-იორკი**, 9 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გერმანიის წყალქვეშა ნავმა, რომელიც თავს დაესხა გემების ქარავანს გრენლანდიის სამხრეთი კიდურის აღმოსავლეთით 750 მილზე, ჩასძირა ინგლისის 10.000 ტონა წყალწყვის სამგზავრო გემი „იქსიონი“ და ნორვეგიის 5.600 ტონა წყალწყვის სატვირთო გემი „ისტერნ სტარი“. ორივე გემს ამერიკის საქონელი მიჰქონდა ინგლისში.

სან ვისენტის კუნძულზე (მწვანე კონცხის კუნძულები) ჩავიდა ინგლისის 10.000 ტონა წყალწყვის სამგზავრო გემ „კოლხასზე“ გადარჩენილი 56 კაცი. ეს გემი კეპტაუნიდან ინგლისს მიდიოდა და 21 აპრილს ტორპედირებულ იქნა გერმანიის წყალქვეშა ნავის მიერ აფრიკის სანაპიროდან 500 მილზე. გემის კაპიტანი და ეკიპაჟის 3 ოფიცერი უკვალოდ დაიკარგა.

## იტალიელებმა დებარეხი დასტოვეს

**ლონდონი**, 8 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ აბისინიის ფრონტიდან ლონდონში მიღებული ცნობების თანახმად, იტალიელებმა დასტოვეს დებარეხი, რომელიც გონდარის ჩრდილოეთით 70 კილომეტრზე მდებარეობს.

# მირზაანელთა წარმატებანი

**წითელწყარო** („კომუნისტის“ კორ.). აზერბაიჯანისა და საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა შეჯიბრების შედეგად საქნავთის ტრესტის მირზაანის ბურღვის კანტორამ მაისის ექვსი დღის გეგმა 107,1 პროცენტით შეასრულა. ბურღვის ოსტატმა ყოჩიევმა ექვს დღეში 14 მეტრის ნაცვლად 226 მეტრი გაბურღა, ხოლო პ. ფიფიამ 60 მეტრის ნაცვლად 100 მეტრი. ჭაბურღილის უფროსის, ორდენოსან ბაკაშვილის ბრიგადამ, რომელიც ბაქოელ არსენ ვანესოვის ბრიგადას ეჯიბრება, 6 მაისს ვადაზე ათი დღით ადრე დაამთავრა № 179 ჭაბურღილის მშენებლობა.

ვ. ტუხაშვილი

# ბაქოელთა საპასუხოდ

**ლანჩხუთი** („კომუნისტის“ კორ.). აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მოწინავეთა წერილმა საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკებისადმი ფართო გამოხმაურება ჰპოვა „საქნავთის“ სუფსა-ომფარეთის ნავთსაძიებო უბნის მუშა-მოსამსახურეთა შორის. ბაქოელთა წერილი განხილულ იქნა ჭაბურღილებზე, ბრიგადებში, საამქროებში, სადაც მუშებმა და ნავთის ახალგაზრდა სპეციალისტებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი საწარმოო გეგმების დროულად, მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

6 მაისს, დღის ბოლოს, სუფსის ნავთსაძიებო უბნის კლუბში შეიკრიბნენ მუშები, გეოლოგები, ინჟინრები, ჭაბურღილის უფროსები და ოსტატები. შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა ნავთსაძიებო უბნის დირექტორი ამხ. ნიკ. ჩიქოვანი.

— ბაქოს ნავთის მუშებისაგან ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, — ამბობს ამხ. ჩიქოვანი. — მათი მდიდარი გამოცდილებით მუშაობამ შედეგად მოგვცა ახალი წარმატებები ცალკეულ ჭაბურღილებზე. — ჭაბურღილის ოსტატებმა ორდენოსნებმა ალ. ცინცაძემ, ჩხიკვაძემ, ცქვიტინიძემ და სხვ. ბაქოელებისაგან შეისწავლეს თავიანთი სპეციალობა და ისინი დღეს წარმოების საუკეთესო მუშაკებად ითვლებიან. მაგრამ გვყავს ისეთი მუშაკებიც, რომლებიც არაგულისხმიერად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას. საექსპლოატაციო დარგი სუსტად მუშაობს, ხოლო ამ დარგის უფროსი ამხ. პილაევსკი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის არ ზრუნავს. ადგილი აქვს ჭაბურღილების მოცდენას (ჭაბურღილი № 22).

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საექსპლოატაციო დარგის მემოტორე ქალი ლუბა ჩადუნელი. მან ბაქოელთა წერილის საპასუხოდ იკისრა ყოველდღიური საწარმოო დავალება 150 პროცენტით შეასრულოს, თვალისჩინივით მოუაროს მასზე მიმაგრებულ მანქანას და მოამზადოს 2 მემოტორე ქალი.

№ 15 ჭაბურღილის მბურღავმა მიხეილ მეგრელიძემ, რომელიც დავალებას ყოველდღიურად 200-300 პროცენტით ასრულებს, იკისრა ყოველდღიურად 7,5 მეტრის ნაცვლად 28 მეტრი გაბურღოს. ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მბურღავმა ლეო ტუღუშმა, გეოლოგმა ს. აბესაძემ, ჭაბურღილის უფროსმა ფ. ჩხიკვაძემ და სხვ.

სუფსა-ომფარეთის ნავთსაძიებო უბნის მუშაკთა კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა ბაქოელთა წერილს და იკისრა ნავთის ამოღების წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულოს, ხოლო ბურღვისა — 5 დეკემბრისათვის, თვითეული მეტრის გაბურღვისას მიაღწიოს თვითღირებულების შემცირებას 6 პროცენტით, ტონა ნავთის ამოღებაზე კი — 4 პროცენტით. თვითეულმა ბრიგადამ ყოველდღიურად გაბურღოს არანაკლებ 1000 მეტრისა, სისტემატურად მოაწყონ ახალგაზრდა სპეციალისტების შეკრება გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, აღმოფხვრან შრომის დისციპლინის დარღვევისა და წუნდებული პროდუქციის გამოშვების შემთხვევები.

შეკრებაზე ცალკეული ჭაბურღილები და საამქროები ურთიერთშორის ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ვ. მექვაბიშვილი

# თამბაქოს პლანტაციების გაშენება კოლმეურნეობებში

გეგმით გათვალისწინებული 20.800 ჰექტარიდან 5 მაისს საქართველოს კოლმეურნეობებში თამბაქო უკვე გადარგული იყო 4.186 ჰექტარზე. რესპუბლიკური გეგმა შესრულდა 20,1 პროცენტით.

თამბაქოს პლანტაციების გაშენებაში წინ არიან აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები. სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში გეგმა შესრულებულია 45,8 პროცენტით, გურჯაანის — 40,8, ლაგოდეხის — 37,8, წითელწყაროს — 35,6, ლუქსემბურგის — 34, ბორჩალოს — 29,8, ყვარლის — 24.3, აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში — 14,7, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის — 9.7, ჩოხატაურის რაიონის — 10, ზუგდიდის — 5 პროცენტით.

# შაქრის ჭარხლის თესვა

რესპუბლიკური გეგმით წელს საქართველოს კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხალი უნდა დაითესოს 5.500 ჰექტარზე. სახმიწსახკომის ცნობებით, 5 მაისს უკვე დათესილი იყო 5.491 ჰექტარი, გეგმის 99,8 პროცენტი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 300 ჰექტარიდან დათესილია 286 ჰექტარი, გეგმის 95,3 პროცენტი.

# ყაზანლიყის ვარდის კრეფა

**თელავი** („კომუნისტის“ კორ.). თელავის რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო ყაზანლიყის ვარდის შერჩევითი კრეფა. სოფ. სანიორის პირველი მაისის და სოფ. ნაფარეულის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებმა 7 მაისს მოკრიფეს და ეთერზეთოვან ქარხანას ჩააბარეს 24 კილოგრამი ყაზანლიყის ვარდი, რაც იმავე დღეს გადამუშავდა.

ყაზანლიყის ვარდის თვითეული კილოგრამი ზეთის დასამზადებელი ფასი 16.000 მანეთია. წელს რაიონის კოლმეურნეობები ყაზანლიყის ვარდის უხვ მოსავალს მიიღებენ.

კ. აფხაზავა

# ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

7-9 მაისს თბილისში მიმდინარეობდა ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხ. მიქელაძის მოხსენება პროფკავშირების სრულიად-საკავშირო საბჭოს XI პლენუმის შედეგებზე, მოხსენებები ამხ. ნარსიასი და ნანეიშვილისა—ჩაის საბჭოთა მეურნეობის და ჩაის მრეწველობის საწარმოების მიერ 1940 წლის გეგმების შესრულებისა და 1941 წლის დავალებათა შესახებ. პლენუმმა დაამტკიცა აგრეთვე სოცდაზღვევისა და პროფბიუჯეტის გასული წლის შესრულების შედეგები და 1941 წლის ბიუჯეტი.

პლენუმი ჩატარდა საკ. კ. პ. (ბ) სრულიად - საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით. მომხსენებლებმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა, ილაპარაკეს რა სუბტროპიკული მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის წარმატებებზე, ამავე დროს გააკრიტიკეს ადგილებზე ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები. ყველა საბჭოთა მეურნეობასა და ჩაის ფაბრიკაში როდი აქცევენ ჯეროვან ყურადღებას შრომის სწორად მოწყობას, გრაფიკით მუშაობაზე გადასვლას, მოწყობილობათა მთლიანად გამოყენებას, გაცდენებისა და წუნის წინააღმდეგ ბრძოლას, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვას, სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლას და სხვ.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ სუბტროპიკულ კულტურათა საბჭოთა მეურნეობებს წელს არ შეუსრულებიათ ევკალიპტის რგვის, ჩაის სანერგეების გაშენების და ქარსაფარი ზოლების მოწყობის გეგმები.

მახარაძის ჩაის ფაბრიკაში 206 კაცი ჩაება XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოცშეჯიბრებაში, მაგრამ შედეგები არავის შეუმოწმებია. ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობასა და ჩაის ფაბრიკაში ადმინისტრაცია და ადგილკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სოცშეჯიბრების შედეგების აღრიცხვას, სათანადოდ არ ეხმარებიან ბრიგადებსა და რგოლებს ჯგუფური და ინდივიდუალური შეჯიბრების რიგიანად მოწყობაში.

მიმდინარე წელს საქართველოს საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოჰკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 14.011 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და 151.250 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ეთერ-ზეთოვანი კულტურების ტრესტმა უნდა გამოუშვას 19.500 ათასი მანეთის პროდუქცია. საქართველოს ჩაის ფაბრიკებს მოცემული აქვთ დავალება დაამზადონ და გადაამუშაონ 58.011 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 11.000 ტონა ლაოჩაი და გამოუშვან 12.800 ტონა ბაიხის ჩაის პროდუქცია. პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ საბრძოლო დავალების შესრულებაში მუშათა ფართო მასების მონაწილეობისა და არსებულ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებისათვის.

## სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის

# სოცშეჯიბრებით ახალ წარმატებებს აღწევენ

სოფ. ბესლახუბას (ოჩამჩირის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების შედეგად ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა და ყოველდღიურად იზრდება შრომის ნაყოფიერება. მედალოსანი სტახანოველი თ. ბობუა, რომელმაც იკისრა წელს ჰექტარზე სახელმწიფოს ჩააბაროს 5.500 კილოგრამი ჩაი, ნორმებს 150-200 პროცენტამდე ასრულებს. ასეთი მოწინავე სტახანოველი აქ ბევრია. კოლმეურნეობაში ნიადაგის დროული და წესიერი დამუშავებით, სასუქების მაქსიმალურად გამოყენებით და სხვა ღონისძიებათა გატარებით ჩაის პლანტაცია კარგად არის განვითარებული.

ვ. ზარქუა

# ჩაის ფოთლის კრეფის ოსტატები

**ჩოხატაური** (საქდესი). ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებში გაიშალა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. 7 მაისისათვის მოკრეფილი იყო 13.234 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. სოფ. ახალშენის, ხილთავის, სამების, წიფნარისა და სხვ. კოლმეურნეობები დღიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ. სოფ. ზენობანის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ 320 კილოგრამის ნაცვლად 410 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა. მოკრეფილი ფოთოლი პირველი ხარისხისაა.

სოფ. სამების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის კრეფის ოსტატი ქალები ამხ. მ. ბურჭულაძე, ნ. მახარაძე 15 კილოგრამის ნაცვლად დღეში 22-25 კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფენ, მოწინავე სტახანოველი ქალები ტ. სიხარულიძე, თ. დოლიძე და ე. კომახიძე დღიურ დავალებას 150-160 პროცენტით ასრულებენ.

# კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატის გამარტივებისათვის არ ზრუნავენ

**სიღნაღი** („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ადმინისტრატიულ - სამმართველო აპარატის შტატების გაბერვის ფაქტებს. ზოგან შექმნილია მომსახურეთა ზედმეტი თანამდებობანი. ამის გამო შრომისუნარიან კოლმეურნეთა ნაწილი უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში არ მუშაობს, რაც ჰქმნის მუშა-ხელის ნაკლებობას.

სოფ. ჯუგაანის ქ. ნ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში საანგარიშო დარგში 6 კაცი მუშაობს. მოანგარიშეს თვეში 50 შრომადღე ეწერება და ამასთან ერთად 200 მანეთს იღებს, ხოლო დამხმარე მოანგარიშეს 55 შრომადღე ეწერება. აქვე კანტორაში მუდმივად არის 4 აღმრიცხველი, რომელთაც თვეში 105 შრომადღე ეწერებათ. კოლმეურნეობას სოფლის საბჭოში მუდმივად ჰყავს ორი აღმასრულებელი, თვითეულს კოლმეურნეობა თვეში 35 შრომადღეს ურიცხავს.

სოფ. ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოანგარიშისა და აღმრიცხველის გარდა შემოღებულია საქმეთა მმართველის თანამდებობა, ჰყავთ განთავისუფლებული შიკრიკი, დამლაგებელი, მეხანძრე, სულ ამ კოლმეურნეობაში მარტო კანტორაში მომუშავეებზე წლიურად 6.600 შრომადღე იხარჯება.

ასევეა სოფ. მაღაროს კოლმეურნეობაში — „ლენინის გზით“. კოლმეურნეობის ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატში 17 კაცი მუშაობს, რომელთაც მთელი შრომადღეების 8,6 პროცენტი ერიცხებათ. აქ ხორცის დამამზადებელსაც კი კოლმეურნეობა ურიცხავს შრომადღეებს.

ამავე სოფლის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში მთელი მუშა-ხელის 6 პროცენტი საკოლმეურნეო წარმოებაში მონაწილეობას არ იღებს. მეხანძრეს ყოველთვიურად 30 შრომადღე ეწერება, ხოლო პარიკმახერს 15 შრომადღე.

სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „წითელ ანაგაში“ ნალბანდი და მჭედელი გადაყვანილი არ არიან სანარდო სისტემაზე. ნალბანდი, რომელსაც თვეში 25 შრომადღე ეწერება, ადვილად სძლევს კოლმეურნეობის საქმეს და ხშირად თავისუფალია. თავისუფალ დროს გარეშე საქმეებს აკეთებს, შემოსავალი კი კოლმეურნეობის სალაროში არ შეაქვს.

სოფ. ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა საექიმო პუნქტის ექიმის თანაშემწეს ს. აზაროვს, რომელსაც ხელფასი ეძლევა, თვიურად 50 შრომადღეს ურიცხავს.

საკვირველია, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და თვით რაიმიწგანი დღემდე არ იღებენ გადამჭრელ ზომებს კოლმეურნეობათა ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის გამარტივებისა და გაიაფებისათვის.

ი. ბალიაშვილი

# სოციალისტურ შეჯიბრებას კარგად ხელმძღვანელობენ

**გორი** („კომუნისტის“ კორ.). გორის რაიონის კოლმეურნეებმა ახალი წარმატებებით აღნიშნეს პირველი მაისის დღესასწაული. კოლმეურნეობებში ენერგიულად მუშაობენ ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

სოფ. ფხვენისის კოლმეურნეობა „მნათობის“ წევრებმა უკვე დაასრულეს საგაზაფხულო სამუშაოები. ვადაზე 11 დღით ადრე 128 ჰექტარზე დასთესეს სიმინდი, 11 ჰექტარზე შაქრის ჭარხალი, ხოლო 6 ჰექტარზე ბოსტნეული კულტურები. წელს კოლმეურნეობამ ხეხილის ბაღები გააშენა 16 ჰექტარზე (გეგმა შესრულებულია 128,5 პროცენტით.). შემოდგომის ნათესების პირველი მარგვლა ამჟამად ჩატარებულია 200 ჰექტარზე. ამ მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა ამხ. შ. მაზმიშვილი.

ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით გაანაღდა სოფ. შინდისის კოლმეურნეობის მერვე ბრიგადამ (ბრიგადირი — ო. სიმონიშვილი). ბრიგადამ ხეხილის გაშენების გეგმა 250 პროცენტით შეასრულა, 15 ჰექტარზე სიმინდის თესვა ვადაზე ადრე დაამთავრა, ბრიგადის წევრებმა გულმოდგინედ ჩაატარეს ბაღების რიგთა შორის დამუშავების, ქიმიური შეწამლვისა და გასხვლის სამუშაოები.

საპირველმაისო შეჯიბრების შედეგად შრომითი აღმავლობაა ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში. მებაღე პ. მურადაშვილი დღიურ ნორმას 312 პროცენტით ასრულებს, ხოლო ნ. ბუზალაძე 376 პროცენტით. მეურნეობამ ხეხილის ბაღების წამლობა წარმატებით ჩაატარა, ნიადაგის დაბარვის სამუშაოები 128 პროცენტით შეასრულა, ხეხილის გასხვლისა კი 100 პროცენტით.

ნაკისრ ვალდებულებებს ბოლშევიკურად ანაღდებენ აგრეთვე სოფ. ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლი“, სოფ. ქვარითის კოლმეურნეობა „აქტივისტი“ და სოფ. ტინისხიდის კოლმეურნეობა „გამთიადი“.

ს. ყურაშვილი

# არახისი კოლმეურნეობებში

საქართველოს კოლმეურნეობებში წელს არახისი 5.100 ჰექტარზე უნდა დაითესოს. აქედან 5 მაისს დაუთესავი იყო მხოლოდ 365 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულდა 92,8 პროცენტით (შარშან ამ დროს დათესილი იყო გეგმის 85,9 პროცენტი).

გეგმები შეასრულეს აბაშის, ზუგდიდის, ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, ჩხარის, ყარაის და ბორჩალოს კოლმეურნეობებმა.

გეგეჭკორის რაიონში დავალება შესრულებულია მხოლოდ 35,5 პროცენტით, ცხაკაიას — 73, წულუკიძის — 81, ვანის — 94,8 და საგარეჯოს რაიონში — 94 პროცენტით.

სოხუმის რაიონი. საბჭოთა მეურნეობა „ილიჩის“ მთავარი აგრონომი ბოკერია (მარცხნით) მითითებას აძლევს სანერგის გამგეს აგროტექნიკოს კვაშილავას სანერგეში ციტრუსოვანთა წესიერად გაზრდის საკითხზე.
ფოტო ვართანოვისა (საქოის ფოტო ქრონიკა).

# გულრიფშელთა შესანიშნავი პერსპექტივა

**სოხუმი** („კომუნისტის“ კორ.). პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებას კოლმეურნე გლეხობა დიდი აღტაცებით შეხვდა. ეს გასაგებიც არის. საკოლმეურნეო შრომის ანაზღაურების ახალი წესი სპობს დღემდე არსებულ გათანაბრებას და ჰქმნის უდიდეს სტიმულს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

წელს საგაზაფხულო სამუშაოები ახალი ენერგიითა და ძალით დაიწყო — აი როგორია კოლმეურნეთა პირველი პასუხი 13 მარტის დადგენილებაზე.

ეს განსაკუთრებით იგრძნობა სოხუმის რაიონის სოფ. გულრიფშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

შარშან შრომა ყველას თანაბრად აუნაზღაურდა. იმათაც, დიდი გადაჭარბებით რომ ასრულებდნენ ნორმებს, და იმათაც ცუდად რომ მუშაობდნენ — ყველას 5 მანეთი შრომადღეზე.

ახლა კი, აქაური კოლმეურნეების თქმისა არ იყოს, მორჩა, საზღვარი დაედო გათანაბრებას.

გასული წლის 6,8 ცენტნერის ნაცვლად წელს კოლმეურნეებმა დაივალეს სამსუნის ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავალი ჰექტარზე აიყვანონ 9 ცენტნერამდე. გეგმა კი ამ კოლმეურნეობაში ითვალისწინებს 7,7 ცენტნერს. მაშასადამე, ყოველ ჰექტარზე 1,3 ცენტნერით მეტი სამსუნის თამბაქოს მოსავლის მიღება საერთოდ კოლმეურნეობას მისცემს 160-165 ათასი მანეთის ზედმეტ შემოსავალს.

მაგრამ მარტო თამბაქოთი როდი ამოიწურება საქმე. აქ გეგმების გადაჭარბებას გვპირდებიან ჩაის მოსავლიანობის დარგშიც. კოლმეურნეობას ახალგაზრდა პლანტაციები აქვს. შარშან ჰექტარზე 207 კილოგრამი მოჰკრიფეს (პირველი წელია!), ახლა კი გეგმით 570 კილოგრამი უნდა მოჰკრიფონ. გადაჭარბებისათვის კოლმეურნეობა ძირითადი ფასის გარდა, 21.390 მანეთს მიიღებს. ციტრუსების გეგმის შესრულების მარტო გადაჭარბება მას მისცემს 40 ათასამდე მანეთს, ტუნგოს გეგმის (56 ცენტნერი) გადაჭარბება — 12 ათას მანეთს და ა. შ.

კოლმეურნეობაში გეგმის ასეთი გადაჭარბება მინიმალურად გამოიანგარიშეს. ისე რომ, უნდა ველოდეთ, გადაჭარბება გაცილებით მეტი იქნება. თუნდაც მარტო ამ ციფრებზე რომ შევჩერდეთ, გამოდის, კოლმეურნეობა იმ ძირითადი შემოსავლის გარდა, რასაც მას მისცემს გეგმების შესრულება, მარტო გადაჭარბებისათვის მიიღებს 230.000-250.000 მანეთს.

აი მშვენიერი პერსპექტივა!

პერსპექტივა უფრო ნათელი რომ ყოფილიყო, ავიღეთ კოლმეურნეობის ერთი რგოლი და გამოიანგარიშეს მარტო თამბაქოს დარგში როგორი იქნება მისი შემოსავალი. ეს არის მ. დავთიანის რგოლი, რომელსაც 4,5 ჰექტარი თამბაქო აქვს. გეგმით, რგოლმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს ჰექტარზე 7,7 ცენტნერი თამბაქო (სამსუნის ჯიშისა), ფაქტიურად აქ დაივალეს 10 ცენტნერის მიღება, ე. ი. რგოლის წევრები მთელი 4,5 ჰექტარი ფართობიდან გეგმის გადაჭარბებით მიიღებენ 10 ცენტნერზე მეტ თამბაქოს, ანუ კოლმეურნეობას მისცემენ 7.800 მანეთზე მეტ შემოსავალს ძირითადი ღირებულების გარდა.

გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის რგოლის წევრები შრომადღის ძირითადი ღირებულების გარდა დამატებით მიიღებენ 2 მან. 8 კაპ. რგოლის წევრი ტ. კალაიჯიანი, რომელმაც შარშან 416 შრომადღე გამოიმუშავა, მარტო გადაჭარბებისათვის წლის განმავლობაში მიიღებს 1.260 მანეთს. მარტო თამბაქოდან იგი მიიღებს დაახლოებით 5.760 მანეთს, როდესაც გასულ წელს შრომადღეების თითქმის იმავე რაოდენობით გამომუშავებისათვის მხოლოდ 2.800 მანეთი მიიღო.

ასეთია გულრიფშელთა შრომის ანაზღაურების საუკეთესო პერსპექტივა მიმდინარე წელს. გაცილებით უფრო დიდი იქნება იგი მომავალ წელს.

აი რას იძლევა პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება.

გ. მერკვილაძე

# ინგლის-გერმანიის ომი

**ლონდონი**, 8 მაისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 7 მაისს, ღამით, გერმანიის ავიაციის თავდასხმის მთავარი ობიექტები იყო მდინარე მერსეის რაიონი, ინგლისის ჩრდილოეთ-დასავლეთი რაიონები, რამდენიმე რაიონი ჩრდილოეთ - აღმოსავლეთში და ბრისტოლის ყურის რაიონი. ბომბარდირებას საგრძნობი ზარალი მოჰყვა.

ღამის განმავლობაში მოსპობილ იქნა გერმანიის 23 თვითმფრინავი. მაისის 7 ღამის განმავლობაში ინგლისში ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 73 ყუმბარმშენი. მთელი აპრილის განმავლობაში მოსპობილ იქნა გერმანიის 87 თვითმფრინავი.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ, დღისით, მტრის ავიაცია საგრძნობ აქტივობას იჩენდა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად. გააფთრებული საჰაერო ბრძოლის დროს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს მტრის 8 თვითმფრინავი. ინგლისის ორი ავიაგამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

იმავე სააგენტოს ცნობით, ინგლისის ავიაცია 7 მაისს, ღამით, თავს დაესხა ბრესტსა და სხვა ობიექტებს მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ბრესტზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის [illegible] პირდაპირ მოხვდა გერმანიის სახაზო გემებს „შარნჰორსტსა“ და „გნაიზენაუს“. ბრესტზე თავდასხმა გააფთრებული ხასიათისა იყო. ბომბარდირებამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ბრესტის სამხედრო-საზღვაო ბაზას.

**კოპენჰაგენი**, 8 მაისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ბერლინგსკე ტიდენდე“ იუწყება, 6 მაისს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ დანიას და ყუმბარა დაუშინეს რამდენიმე პუნქტს.

**ნიუ-იორკი**, 8 მაისი (საკდესი). როგორც ასოშიეტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, 7 მაისს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ლივერპულს. ბომბარდირებულ იქნა დასავლეთ და აღმოსავლეთ ინგლისის რაიონები, აგრეთვე სამხრეთ - აღმოსავლეთი სანაპირო. იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ, მიუხედავად საზენიტო არტილერიის ინტენსიური ცეცხლისა, გერმანიის თვითმფრინავები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ჩრდილოეთ-დასავლეთ ინგლისის ერთერთ ქალაქს და რამდენიმე ათასი ცეცხლგამჩენი და დიდძალი ფუგასური ყუმბარა დააყარეს მას. ასევე ინტენსიურად იქნა ბომბარდირებული დასავლეთ ინგლისის ერთერთი ქალაქი.

# გერმანიის სარდლობის ცნობა

**ბერლინი**, 8 მაისი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავებმა, რომლებიც ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედებენ, ჩასძირეს მტრის გემები 29.950 სარეგისტრო ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა. 7 მაისს, ღამით, გერმანიის ავიაცია წარმატებით განაგრძობდა ინგლისის ნავსადგურებზე თავდასხმას. ლივერპულსა და ჰულზე გერმანიის ავიაციის დიდი შენაერთების თავდასხმის შედეგად სანავსადგურო ნაგებობებში დიდი ხანძარი გაჩნდა. გარდა ამისა, გერმანიის ავიაციამ იერიში მიიტანა ჰარტლპულზე, მიდლზბროზე, ბრისტოლსა და პლიმუტზე. ნიუკეის ჩრდილოეთ - დასავლეთით გერმანიის ყუმბარმშენებმა ჩასძირეს ერთი სავაჭრო გემი 12 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა და ძლიერ დააზიანეს 2 სხვა გემი. 7 მაისის განმავლობაში გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ინგლისის 9 თვითმფრინავი; გერმანიის ავიაციას დანაკლისი არა ჰქონია.

გერმანიის შორსმსროლელმა არტილერიამ სროლა აუტეხა დუვრის ნავსადგურის სამხედრო ობიექტებს.

ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანელთა აფრიკის კორპუსის არტილერიამ სროლა აუტეხა ინგლისის ჯარის დიდრონ ჯგუფებს და გაფანტა ისინი. სოლუმის რაიონში გერმანიის მზვერავმა რაზმებმა, რომელნიც სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით მიიწევდნენ, უკუაქციეს მტრის გუშაგები. გერმანიის ავიაციამ მოსპო მომარაგების მნიშვნელოვანი ბაზები ტობრუკის მახლობლად და ძლიერ დააზიანა ნავსადგურში მდგომი 2 სატრანსპორტო გემი. ყუმბარების პირდაპირ მოხვედრის შედეგად ინგლისის საზენიტო არტილერია იძულებული გახდა ჩაჩუმებულიყო.

გუშინ საღამოს მალტის კუნძულზე ბომბარდირებულ იქნა ლავალეტის სანავსადგურო ნაგებობანი.

7 მაისს, ღამით, მტრის რამდენიმე თვითმფრინავმა ყუმბარა ჩამოაგდო ჩრდილოეთ - დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ პუნქტში, მათ შორის ბრემენში. გერმანიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მტრის სამი ყუმბარმშენი.

# იტალიის ცნობა

**რომი**, 8 მაისი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება, რომ 7 მაისს, ღამით, გერმანიის ავიაციამ რამდენჯერმე დაუშინა ყუმბარა საზღვაო და საჰაერო ბაზებს მალტის კუნძულზე და სერიოზული ზარალი მიაყენა სამხედრო ობიექტებს.

კირენაიკაში, ტობრუკის ფრონტზე, იტალიის ჯარმა ხელთ იგდო მნიშვნელოვანი პოზიცია. სოლუმის აღმოსავლეთით სწარმოებდა ბრძოლა, რაც იტალიის ჯარის ნაწილების სასარგებლოდ დამთავრდა. იტალიის ავიაციამ კვლავ დაუშინა ყუმბარა ინგლისის პოზიციებს ტობრუკის გარშემო და საკმაოდ ბევრი ნაგებობა დაანგრია. ტრიპოლზე ინგლისის ავიაციის უკანასკნელი თავდასხმის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი თვითმფრინავი.

აღმოსავლეთ აფრიკაში, ამბაალაგის სექტორში, საარტილერიო სროლაა. გალისა და სიდამოს ოლქში გააფთრებული ბრძოლის დროს, რაც 3-დან 5 მაისამდე გრძელდებოდა, ინგლისის ჯარმა დიდი ზარალი განიცადა.

# ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**, 8 მაისი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 7 მაისს, ღამით, ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა წყალქვეშა ნავების ბაზაზე სენ-ნაზერში, დოკებზე ბრემენში და მტრის გემებზე ჰოლანდიის სანაპიროს მახლობლად. სენ-ნაზერმა გააფთრებული ბომბარდირება განიცადა, რის შედეგად ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. გერმანიაში ინგლისის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ყუმბარები და მნიშვნელოვნად დააზიანეს საწყობები და სამრეწველო შენობები ბრემენში. ამ ოპერაციებიდან არ დაბრუნებულა ინგლისის ორი ყუმბარმშენი.

იმავე ღამის განმავლობაში ინგლისის თვითმფრინავები წარმატებით დაესხნენ თავს დონჟის ნავთსაწმენდ ქარხანას ლუარის შესართავში, აგრეთვე გემებს ბერგენში. ამ ოპერაციებიდან ყველა თვითმფრინავი დაბრუნდა.

# ომი აფრიკაში

**ლონდონი**, 8 მაისი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ აბისინიაში ამბაალაგის რაიონში ოპერაციები წარმატებით ვითარდება. იმპერიის ჯარმა, რომელიც განაგრძობს მტრის დევნას ჩრდილოეთის მიმართულებით, დაიკავა პუნქტი კვორამი, რომელიც მტრის მთავარი პოზიციებიდან 48 კილომეტრზე მდებარეობს. ინგლისის ჯარმა ხელთ იგდო დიდძალი ტყვე, მათ შორის ერთი გენერალი. სამხრეთ აბისინიაში ინგლისის ჯარმა დაიკავა მტრის ძლიერ გამაგრებული პოზიციები 50 კილომეტრზე ნეგელის სამხრეთით. იტალიის სომალის სანაპიროზე ინგლისის ჯარმა დაიკავა ბენდერკასიმის ნავსადგური.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ 4 მაისს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა კალატოს აეროდრომს როდოსის კუნძულზე. არის მნიშვნელოვანი ზარალი, აეროდრომზე ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. 5 მაისს, ღამით, ინგლისის მძიმე ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ბენინის, დერნის, ელ-გაზალის, ბარდიისა და ბერკის აეროდრომებს. ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა აგრეთვე ბენგაზის ნავსაყუდელზე. ბერკის აეროდრომზე ცეცხლი გაუჩნდა ანგარს. ხანძარს თან სდევდა ძლიერი აფეთქება. ბენინაში ყუმბარები დაეცა აეროდრომზე მყოფი თვითმფრინავების მახლობლად. რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. აბისინიაში ინგლისის ავიაციამ ტყვიამფრქვევი და ყუმბარა დაუშინა იტალიის ჯარის ნაშთებს.

ამ ოპერაციების შემდეგ ინგლისის 5 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. ორი მფრინავი გადარჩა.

6 მაისს მტრის ავიაციამ ინტენსიური თავდასხმა მოახდინა მალტაზე. რამდენადმე დაზიანდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ქონება.

# თავდასხმა მალტაზე

**ლონდონი**, 8 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 6 მაისს, ღამით, მტრის ავიაცია თავს დაესხა მალტას და ყუმბარა ჩამოჰყარა კუნძულის რამდენიმე რაიონში. ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი. 7 მაისს, საღამოს, კუნძულზე მეორე თავდასხმის დროს ჩამოგდებულია გერმანიის ერთი ყუმბარმშენი.

# ავსტრალიის ჯარის დანაკლისი საბერძნეთში

**ლონდონი**, 8 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, ავსტრალიის სამხედრო მინისტრ სპენდერის განცხადებით, ავსტრალიის ჯარის საერთო დანაკლისი საბერძნეთში მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით არ აღემატება 3.000 კაცს. სულ საბერძნეთში 16 ათასი ავსტრალიელი ჯარისკაცი იყო.

# სუეცის არხის ბომბარდირება

**ნიუ-იორკი**, 8 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ 7 მაისს იტალია-გერმანიის თვითმფრინავები 2 საათის განმავლობაში ყუმბარას უშენდნენ სუეცის არხს.

# პარტიული ცხოვრება

## ბოლშევიკური კრიტიკის ნიშნით

**ბათუმი** („კომუნისტის" კორ.). ქობულეთის რაიონის სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუდმივი მონაწილეა, შარშან ჩადგა აჭარის მილიონერ კოლმეურნეობათა რიგებში და უზრუნველჰყო სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 4.354 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მიღება. ჩაის და ციტრუსების მოსავლიანობის გადიდების საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვს სტურუას სახელობის კოლმეურნეობასაც.

მიღწევების აღნიშვნასთან ერთად პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. ჩხარტიშვილი თავის საანგარიშო მოხსენებაში დაწვრილებით შეჩერდა ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ პარტორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობდა პარტიულ პროპაგანდას. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულ 14 კომუნისტიდან 8 დამოუკიდებლად სწავლობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", მაგრამ იმის გამო, რომ პარტორგანიზაციამ ვერ უზრუნველჰყო კომუნისტთა თვითგანვითარებაზე კონტროლის გაძლიერება, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები სუსტად მუშაობენ თავისთავზე. ზოგიერთ კომუნისტს პარტისტორიის მეორე თავის შესწავლაც არ დაუმთავრებია.

კრებაზე სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა ამხ. ს. თურმანიძემ, ო. ღოლიძემ, კ. გუჯაბიძემ, შ. მაჭარაძემ, აბ. ღოლიძემ, გ. ტიკარაძემ და სხვ. აღნიშნეს, რომ პარტორგანიზაცია არასაკმაოდ ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობათა - საძეურნეო საქმიანობას. მართალია, საანგარიშო პერიოდში პარტორგანიზაციამ 17-ჯერ განიხილა კალინინის და სტურუას სახელობის კოლმეურნეობების საწარმოო საკითხები და არც თუ ცუდი დადგენილებები მიიღო აღმჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მაგრამ კონტროლი ვერ უზრუნველჰყო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, რის გამო ღონისძიებებიც განუხორციელებელი რჩებოდა.

მოკამათეებმა გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის მუშაობა სტურუას სახელობის კოლმეურნეობისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის საქმეში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ კოლმეურნეობა ჩამორჩა საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებაში. მზად ვერ ხვდება ჩაის კრეფის სეზონს. აღინიშნა აგრეთვე, რომ პარტორგანიზაცია სუსტად იბრძვის პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილების განხორციელებისათვის.

კრებაზე აღინიშნა ნაკლოვანებანი აგრეთვე სააგიტაციო მუშაობის, კომკავშირის ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობისა და პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის დარგში. ასევე სუსტად იყო დაყენებული თავდაცვითი მუშაობა. კრებაზე სიტყვით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სურგულაძე.

კრებამ პარტორგანიზაციის ბიუროს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. გ. მალიკოვი.

**კ. დოზორჯგინიძე.**

## მილიონერ კოლმეურნეობაში

**მახარაძე** („კომუნისტის" კორ.). კომუნისტთა მაღალი აქტივობით ჩატარდა ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტბიუროს მდივანი ამხ. ჰ. ხომერიკი.

— ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა ერთერთი ძლიერი კოლმეურნეობაა მახარაძის რაიონში. გასულ წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა 2.594.000 მანეთს მიაღწია, ხოლო შრომადღეზე კოლმეურნეებმა 11 მან. და 11 კაპ. მიიღეს, — განაცხადა მომხსენებელმა. ნატანების კოლმეურნეობამ გასულ წელს სახელმწიფოს ჩააბარა 832 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 15 მილიონ ცალამდე ციტრუსოვან კულტურათა ნაყოფი და სხვ. ბევრი კომუნისტი წარმატებით ახორციელებს ავანგარდულ როლს საწარმოო გეგმების დროულად შესრულებისათვის ბრძოლაში. კომუნისტ გრ. ხურციძის ბრიგადამ გასულ წელს ჰექტარზე საშუალოდ აიღო 6.135 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი. აღნიშნული ბრიგადა 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა, წელს კი ფართო ჩვენებითაა გამოფენაზე წარდგენილი. ამხ. ხურციძე დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო ლენინის ორდენით დაჯილდოებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარე კომუნისტი ვასილ ჯაბუა. შრომის მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან კომუნისტები მ. ბოლქვაძე, რომელსაც მიმდინარე წელს 102 შრომადღე აქვს გამომუშავებული, დ. კვაჭანტირაძე — 108, სოლ. სალია — 105 და სხვ.

კრებაზე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ვ. ჯაბუამ, გ. ნაკაიძემ, ვ. ნაკაიძემ, კ. შივნაძემ, თავაძემ, პ. კვაჭანტირაძემ (პარტრაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე) და სხვ. აღნიშნეს მთელი რიგი მიღწევები და ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რომელნიც პარტბიუროს გააჩნდა თავის მუშაობაში. კერძოდ, თავის სიმაღლეზე ვერ იდგა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმე, არ ტარდებოდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების თათბირები და სხვ. ამის შედეგია ის, რომ კომუნისტებს ს. თავაძეს, ე. პატარავას, ნ. მიმინოშვილს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა ჯერაც არ დაუწყიათ.

არიან კომუნისტები, რომლებიც ავანგარდულ როლს ვერ ანხორციელებენ. მათ მიერ შესრულებული სამუშაო დაბალი ხარისხისაა. ასეთები არიან გ. ტულუში, ალ. გობრონიძე და სხვ. სუსტია პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი.

კრებამ პარტბიუროს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. პარტბიუროში არჩეულ იქნა 5 ამხანაგი. პარტბიუროს მდივნად არჩეულია ამხ. ჰ. ხომერიკი.

**ვ. მექვაბიშვილი**

## განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

**(საქართველოს ნავთის ტრესტი)**

საქართველოს ნავთის ტრესტის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. ქუქუნაშვილმა.

საანგარიშო პერიოდში პარტბიურომ ერთგვარი მუშაობა ჩაატარა ერთმმართველობის პრინციპის განმტკიცებისათვის, ტრესტის აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საქართველოს ნავთმა მიმდინარე წლის აპრილში ბურღვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, გადაჭარბებით შესრულა აგრეთვე ნავთის ამოღების გეგმაც.

მიღწევებთან ერთად, ტრესტის აპარატში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, საქმისადმი ფორმალურ - კანცელარიულ დამოკიდებულებას. მაგალითად, ზოგჯერ ერთდაიმავე საკითხზე იწერება რამდენიმე სხვადასხვა სახის ბრძანება და განკარგულება. ამას უფრო მეტად ადგილი აქვს ტრესტის ბუხჰალტერიაში (მთავარი ბუხჰალტერი ამხ. სერაფინოვი). უკანასკნელად აქ დაწერილია 189 განკარგულება, ხოლო მათი შესრულება არავის შეუმოწმებია.

ტრესტის ბუხჰალტერია საქართველოს ნავთის ტრესტში შემავალ საწარმოებსა და დაწესებულებებს დახმარებას არ უწევს ანგარიშიანობისა და აღრიცხვის სწორად დაყენების საქმეში, რის გამო სახალხო კომისარიატში საბუთების გაგზავნა გვიანდება, არის ზემდგომი ორგანოებიდან მოსული ბრძანებების შეუსრულებლობის შემთხვევებიც. მაგალითად, ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის 21 იანვრის ბრძანება, რომელიც 1 თებერვლისათვის უნდა შესრულებულიყო, „საქნავთს" დღემდე არ შეუსრულებია.

საპროექტო - საგეგმო განყოფილება დავალებებს ზოგჯერ ცუდად ასრულებს, რის გამო 3-4-ჯერ ხდება ერთი და იმავე ობიექტის დაპროექტება. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ნორიოს საცხოვრებელი სახლის დაპროექტების დროს. დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ტრესტის ტექნიკურ განყოფილებას (განყოფილების უფროსი ამხ. გორიაჩევი) დღემდე ტექნოლოგიური რეჟიმი არ შეუმუშავებია.

საანგარიშო კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტწევრობის ზოგიერთი კანდიდატი (მაგალითად, ბოიკო, მაცაბერიძე და სხვ.) ნაკლებად მუშაობს თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის, არ ასრულებს პარტიულ დავალებას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა კომუნისტთა უმრავლესობას უკვე დამთავრებული აქვს, მაგრამ არიან ცალკე ამხანაგები, რომლებიც თავს არ იწუხებენ ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლისათვის. მაგალითად, ამხ. კოკოსიანი, ნედელკინი, აბეზაძე და სხვ. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მეოთხე თავის შესწავლას არ გასცილებიან. აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ საანგარიშო პერიოდში პარტბიუროს „მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად არ ჩაუტარებია თეორიული კონფერენცია, ლექცია ან კონსულტაცია.

საავიტაციო მუშაობაც ვერ არის დაყენებული სასურველ დონეზე. გამოყოფილია 11 აგიტატორი, მაგრამ მათგან ზოგი სუსტად მუშაობს. აგიტაციას არ უკავშირებენ ადგილობრივი ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებს. კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ბილანიშვილმა მარტში ორჯერ დაიგვიანა სამუშაოზე. დაიგვიანეს აგრეთვე ამხ. ხუდადოვმა, მაჭარაძემ და მალკომ. ხოლო აგიტატორებმა ეს ფაქტები არ გამოიყენეს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ტრესტის მუშაკთა დასარაზმავად, არ გახადეს საუბრის თემად.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კარააევმა, ლალიევმა, იაჯიამ, ვახტანგაძემ, კიპაროიძემ, იაკობაშვილმა, დოშოიანმა, გარდაფხაძემ და სხვ., სულ 10 ამხანაგმა.

კრებამ პარტბიუროს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. პარტბიუროში არჩეულ იქნა 5 ამხანაგი. პარტბიუროს მდივნად არჩეულია ამხ. ი. ქუქუნაშვილი.

**ელ. ჩიტიშვილი**

## კრიტიკის ნაცვლად... ქება-დიდება

**გორი** („კომუნისტის" კორ.). ჩვენი ქარხანა სისტემატურად ვერ ასრულებს საწარმოო დავალებას, 1940 წლის გეგმა 80 პროცენტით გავანაღდეთ, ზარალი 11.000 მანეთს შეადგენს. ცუდად ვმუშაობთ წელსაც: პირველი კვარტალის გეგმის შესრულება 84,1 პროცენტამდე ავიყვანეთ. — ასე აღნიშნა თავის მოხსენებაში გორის ხე-ტყის სახერხი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. ლოთიშვილმა პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე. მოხსენება თვითკრიტიკული იყო, პარტბიუროს და დირექციის ცუდი მუშაობის ფაქტებს სწორად აღნიშნავდა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა ქარხნის დირექტორის გ. არბოლიშვილის უყაირათობა. მოიყვანეს ასეთი ფაქტი: ქარხანაში შემუშავებული არ იყო გამომუშავების ნორმები. არც წელსა აქვთ. ქარხანაში გატარებული არ არის სანარდო სისტემა. დირექციამ არ შეასრულა პარტორგანიზაციის დადგენილება საკვამლე მილის გამოცვლაზე, საწვავი მასალის წესიერად გამოყენებაზე, დანადგარების შეკეთებაზე.

მოხსენების გამო კამათში 12 კაცი გამოვიდა. კამათში გამოსულმა ამხ. ა. ხუროშვილმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში პარტბიურო სუსტად ხელმძღვანელობდა კომკავშირს.

თავდაცვითი მუშაობისა და ტექნიკური სწავლების სუსტად დაყენებაზე, დანადგარებისა და მოწყობილობის შეკეთებაზე, სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებაზე ილაპარაკეს ამხ. გ. არბოლიშვილმა, ლ. სარქისოვმა, მ. ჯებისაშვილმა, ა. აკოფაშვილმა და რ. შოშიაშვილმა.

ცალკე უნდა აღინიშნოს კომუნისტ ს. შამილიანის არასაქმიანი გამოსვლა. შამილიანმა ქარხნის დირექციისა და პარტბიუროს მუშაობის ბოლშევიკურად გაკრიტიკების ნაცვლად, თავისი სიტყვა დირექციის ქება-დიდებას მოანდომა. მან აღნიშნა, თითქოს გამომუშავების ნორმების უქონლობა გავლენას არ ახდენდეს ქარხნის საწარმოო გეგმების შესრულებაზე.

კრებამ ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

პარტბიუროს შემადგენლობაში არჩეულ იქნა 5 ამხანაგი. გორის ხე-ტყის სახერხი ქარხნის პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. შ. ლოთიშვილი.

**ს. ყურაშვილი**

## ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

ამ დღეებში მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ჩერემუშკის მუშათა სადაბო საბჭოსა და ჩერემუშკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისაგან თბილისის რაიონის ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობისა და ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის" წევრებმა მიიღეს წერილი. წერილში ჩერემუშკელი კოლმეურნეები, ულოცავენ რა საქართველოს კოლმეურნეებს 1 მაისის დღესასწაულს, აღნიშნავენ, რომ მათ გადასწყვიტეს საუბრებისა და ლექციების მოწყობით კარგად შეისწავლონ დიდი სტალინის სამშობლო — მზიური საქართველო, ჩაატარონ საუბრები თემაზე: „კოლხიდა", „საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა და მისი ბუნებრივი თავისებურებანი", „საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევები", „რა უნდა ვისწავლოთ მზიური საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთაგან" და სხვ.

წერილში აღნიშნულია აგრეთვე, რომ სტალინის სახელობის აღნიშნული კოლმეურნეობა 11 წელიწადზე მეტია რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა ერთიათად გაიზარდა, ხოლო კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი — ერთიხუთად. კოლმეურნეობაში შრომადღის ფულადი ნაწილი აყვანილია 15 მანეთამდე, ხოლო პროდუქტების ნაწილი — 10 კილოგრამამდე.

კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ ბოსტნეული მიღებულია 350 ცენტნერი, კარტოფილი — 300 ცენტნერი, რძე თვითეულ საფურავე ძროხაზე — 3.100 ლიტრი, გოჭების ნამატი 1 დედაღორზე—24 სული და სხვ.

კოლმეურნეობამ ააშენა ბოსტნეულსაცავები, მეცხოველეობის ფერმები, გარაჟი, 3 სათბური და საკოლმეურნეო კლუბი მუდმივად მოქმედი ხმოვანი კინოდანადგარით.

კოლმეურნეობამ აითვისა 500-ზე მეტი ჯიშის სხვადასხვა ყვავილი და დეკორატიული მცენარე.

წინათ ჩერემუშკელ გლეხებს არა თუ ყვავილები არ ჰქონდათ, არამედ ზოგჯერ საარსებო საშუალებებიც არ გააჩნდათ, ახლა კი კოლმეურნეებს აქვთ ელექტროგანათება, წყალსადენი, ორი სკოლა, კლუბი, დასასვენებელი ბაღი და სხვ. კოლმეურნეობა 1939, 1940 და 1941 წლების სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის აქტიური მონაწილეა. მუშაობის საუკეთესო ნიმუშებისათვის და მაჩვენებლთა გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობას 1939 წელს მიეცა მეორე ხარისხის დიპლომი, ხოლო 1940 წელს — პირველი ხარისხის დიპლომი.

— ძვირფასო მეგობრებო, სწერენ თავიანთ წერილში ჩერემუშკელი კოლმეურნეები, ჩამოდით ჩვენთან. სიხარულით მოგელით. ჩვენ გიჩვენებთ მთელ ჩვენს მრავალდარგიან მეურნეობას. აუცილებლად მოგელით, ძვირფასო სტუმრებო.

## ყურადღება ნასაკირალის წყაროებს

საქართველო მდიდარია მინერალური წყაროებით. ბევრი მათგანი უკვე გახდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კერა. მილიონობით თანხები იხარჯება კურორტების კეთილმოწყობისათვის.

საკურორტო სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ახალი საკურორტო ადგილების შესწავლასა და მოწყობას. სამწუხაროდ ნაკლებად ექცევა ყურადღება იმ მინერალური წყაროების შესწავლას, რომელსაც იყენებს მოსახლეობა და სარგებლობს ყოველგვარი კონტროლის გარეშე. ამ მხრივ აღსანიშნავია ნასაკირალის მინერალური წყლები.

სოფ. ნასაკირალი მდებარეობს ქ. მახარაძიდან 7 კილომეტრზე, მინერალური წყლები კი ერთი კილომეტრით არის დაშორებული საავტომობილო გზას.

ნასაკირალის წყაროები, ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, დიდიხანია იპყრობდა მოსახლეობის ყურადღებას. ტყეში საძოვრად გაშვებულ და დაკარგულ პირუტყვს ხშირად პოულობდნენ ამ წყლებთან. მათ იქ იზიდავდა „მლაშე წყლები".

ამ ათიოდე წლის წინათ ამ წყლებით დაინტერესებულა ადგილობრივი მოსახლეობა. ახლა იქ აგებულია რამდენიმე ფიცრული სახლი და საბაზანო შენობა, რომელსაც განაგებს მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პირობებში მინერალური წყლების ექსპლოატაცია მიზანშეუწონელია.

მიუხედავად იმისა, რომ სეზონის განმავლობაში ნასაკირალის მინერალური წყლებით (აბანაოდ, სასმელად, თვალის სამკურნალოდ და სხვ.) სარგებლობს 400-500 კაცი, კურორტთა სამმართველოს ჯერ კიდევ ყურადღება არ მიუქცევია ამ ადგილისათვის. სრულებით არ არის შესწავლილი ნასაკირალის წყლების სამკურნალო თვისებანი და ქიმიური შემადგენლობა. წყაროებს აქ იმის მიხედვით იყენებენ, თუ ვის როგორ მოუხდა და ვინ რა ხმა გაავრცელა ამ წყაროზე. აქ შეხვდებით დამახინჯებულ წარწერებს. ეს წარწერები თავისთავად ნათელს ჰფენენ იმ „ზრუნვას", რომელიც კურორტისადმი გამოუჩენიათ.

მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება ჯერჯერობით მხოლოდ შემოსავლით არის დაინტერესებული და ნაკლებ ყურადღებას აქცევს კურორტის კეთილმოწყობას.

კიდევ ერთი შენიშვნა. ნასაკირალის წყლების ნიმუშები სხვადასხვა დროს საანალიზოდ წაუღიათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, მაგრამ შედეგები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი.

ნასაკირალის მ ი ნ ე რ ა ლ უ რ ი წყლების ქიმიურ ანალიზს ამჟამად აკეთებს ქუთაისის პედინსტიტუტის ერთერთი მეცნიერი მუშაკი.

საჭიროა ნასაკირალის წყლების ყოველმხრივ გამოკვლევა. ვფიქრობთ, ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევენ სათანადო ორგანიზაციები და ახლო მომავალში საქართველოს კურორტთა რიცხვს მიემატება კურორტი ნასაკირალიც.

**დოც. ლ. ჭელიძე**

# „მეფე ლირი"

## ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი თავის რეპერტუარში საპატიო ადგილს აკუთვნებს შექსპირის ტრაგედიებს. ქუთაისის სცენაზე იდგმება „ოტელო", 30 აპრილს დაიდგა „მეფე ლირი", მომავალი წლისათვის განზრახული აქვთ „მაკბეტი".

ბრიტანიის მეფის ლირის როლში ვნახეთ სახალხო არტისტი ალექსანდრე იმედაშვილი. მისი ლირი არც ნახევრად ჭკუაშმლილი მეფეა და არც იმდენად დაძაბუნებული თვითმპყრობელი, რომ ამით აიხსნას სამეფოს განაწილებისა და გაცემის ძნელად დასაჯერებელი ამბავი. ალ. იმედაშვილის ლირს მტკიცედა სწამს თავის მეფური უფლებამოსილების შეუვალი ძალა, თავი ზეადამიანად წარმოუდგენია და თავის ნებასურვილი ყველასათვის კანონად გაუხდია. მისთვის სამეფოს განაწილებაც მისი შეუვალი უფლებისა და გარდაუვალი ნების გამოვლინებაა. იმედაშვილის ლირი ბედნიერი მეფეა და მას საჯაროდ სურს ისმოს თავისი მეფური უფლებამოსილების სიტკბო, საჯაროდ იამაყოს თავის ასულთა უსაზღვრო სიყვარულით და მორჩილებით; და აი, თავის ასულთ გონერილას (რესპ. დამსახ. არტ. ც. ამირეჯიბი), რეგანას (თ. ღვინიაშვილი) და კორდელიას (მ. გელაშვილი) დარბაზობის დროს ერთმანეთთან გააჯიბრებს მისდამი გრძნობათ გამოთქმაში. — „და აწ მითხარით, — რომელს თქვენგანს მეტად ვუყვარვართ, რომ სიყვარულის კვალობაზედ მეც განვიწილოთ დიდება ჩვენი და მოგიწყოთ ზომაზომაზედ". ლირი სმენად გადაიქცა, გონერილას და რეგანას ფარისევლობით შენათხზი სიტყვების ყოველი ბგერა მეფისათვის შარბათია, — უტკბილესი რამ! ლირს სჯერა მათი სიტყვების, რადგან, დესპოტი მეფის აზრით, სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

ახლა ლირის უმცროსი ასულის კორდელიას ჯერია... როგორც კი კორდელიამ თავის გრძნობათ გამოთქმაზე უარი სთქვა, მეფის სახე სრულიად შეიცვალა, ჯერ სახეზე გაცბუნება გამოეხატა, თითქოს ვერ გაიგო, ვერ ჩახვდაო ამ უარს, თითქოს არც კი იცოდეს რას ამბობს, ისე კითხულობს: „არარასაო?!" როდესაც კორდელიამ დაუდასტურა: „დიახ, არარასაო", იმედაშვილის ლირმა მბრძანებელის სიმკაცრით შესძახა: „არარაისგან არ იქმნების არარაიცა!" შემდეგ მის სიტყვებში „სთქვი რამე მეთქი" მუქარაც ისმოდა და მუდარაც. როცა კორდელიამ გულწრფელი გულის ალსარება წარმოსთქვა, ლირმა ჯერ მუქარით მოსთხოვა კილო შეეცვალა, შემდეგ კი თანდათან მრისხანების აფრა აუშვა. საოცარი გადასვლებით, გულთამხილავი ხელოვანის ოსტატობით წარმოგვისახა იმედაშვილმა, თუ როგორ აღიძვრის, იზრდება და ზვავდება მრისხანება, რომელიც ჯერ სახეს შემოაწვება, ხმაში დაუგუბდება და შემდეგ რისხვად ქვეყულ სიტყვებად, — თითქო მეხთატეხაო, გრგვინვით გაისმის: „განგდებულ იქმენ საუკუნოდ ჩემის გულიდან..."

როდესაც სრულიად მოულოდნელად საფრანგეთის მეფემ (ა. კობალაძე) ლირისაგან შერცხვენებული უმცროსი ასული თავისი ქვეყნის მფლობელად და მბრძანებლად აღიარა, ა. იმედაშვილმა გაოცება და წყენა, თავშეკავებული მრისხანება და წყევლა-კრულვა საოცარი ძალით წარმოთქმულ რამდენიმე სიტყვაში მოაქცია. ასეთი ცოცხალი შესრულებით იმედაშვილმა ძნელად დასაჯერებელი ამბავი დამაჯერებლობითა და სიმართლით აავსო და მაყურებელიც გაიტაცა.

შემდეგ სცენაში ლირი კატასტროფას განიცდის. მისი უფროსი ქალიშვილი გონერილა მას მეფურ ღირსებას ხდის და შეურაცხყოფს. ალ. იმედაშვილი თანამიმდევრობით, გონერილას საქციელში დაეჭვებიდან თავისი ასულის წყევლა-კრულვამდე წარმოსახვის საოცარ ძალას იჩენს. ტრაგედიულობის ცხოველი მგზნებარებით და ქრუანტელის მომგვრელი ხმით ატარებს გონერილას წყევლის სცენას.

როდესაც ლირი გაიგებს, რომ მის მეფურ უფლებას უხეშად შეეხნენ და მხლებელთა რიცხვი გაუნახევრეს—აქ მსახიობი მოთქმით სტირის და მისი სიტყვები: „თქვენ, ჩემნო თვალნო, უძლურნო და მიბერებულნო, ნუღარა სტირით, თვარემ ხელით ჩემით ამოგთხრით..."—საოცარი ძალით გაისმის.

რეგანასთან სცენა თუმც გონერილასთან განვლილი სცენის განმეორებაა, მაგრამ აქაც ა. იმედაშვილმა მთელი რიგი ეპიზოდები ისეთი ცხოველი გზნებით წარმოგვისახა, რომ ვინც კი ის ერთხელ ნახა, მის შესრულებას ვერასოდეს ვერ დაივიწყებს. როდესაც იმედაშვილის ლირი — ეს უტეხი და უდრეკი, უფლებამოყვარული მოხუცი თავისი ასულის წინ მუხლებზე დაეცა, მისი სიტყვები „საჯე შენ თითონ..." წრფელი გრძნობით, ღრმა სევდით და ბოღმით იყო წარმოთქმული. განსახიერების საოცარ ძალას აღწევს იმედაშვილი, როდესაც გონერილასადმი მიმართული წყევლის შემდეგ, რაღაც საოცარი შიშის ქვეშ, რეგანას გულში ჩაიკრავს, ეფერება, ესიყვარულება: „შენ ხარ გულწყნარი, გულკეთილი, მშვიდობიანი...", არ უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ ეს უკანასკნელი მისი ნუგეშიც ღალატობს და უდიერად ეკიდება.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა იმედაშვილის ლირმა ამ სცენის დასასრულს, როდესაც ქალიშვილებისაგან უარყოფილმა სრულიად დაჰკარგა მეფური სიამაყე და მედიდურობა და უზომო უბედურებით გულმოკლულმა შემაძრწუნებელი ცრემლმორეული ხმით ცას შეღაღადა: „თუ აუმღვრიეთ ამათ გული, ჩემს წინააღმდეგ, მეც მიხვაიშნეთ, შემარჩინეთ გონი და ძალი..." ტიროდა ლირი და ცრემლის რცხვენოდა, ტიროდა და თან ირწმუნებოდა: „რომ ასი ათას ნაჭრად იქცეს ეს ჩემი გული, მაინცა ცრემლი თვალთა ჩემთა არ წამოქონონ". ამ სცენის დასასრულს ყველამ დაუჯერა ლირს, როცა მან ველად გაჭრის წინ ხუმარას მიმართა: „ერთგულო ჩემო, ლამის ჭკუიდან შევიშალო მე".

იმედაშვილის ლირი მესამე მოქმედებაში, თითქოს ზღვასა და გრიგალს მოარღვევდეს, ისე აღწევს თავს ათეული წლობით შეთვისებულ ცრურწმენას, ცრუშეხედულებებს და ისწრაფვის ადამიანობისა და ჰუმანიურობისაკენ. ველად გაჭრილი ლირი — იმედაშვილი სრულიადაც არ ცდილობს მოგვცეს სიგიჟისა და ჭკუაშმლილობის ის კლინიკური სურათი, რომლის წარმოსახვაშიაც XVII საუკუნიდან მოყოლებული ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ყველა დროისა და ქვეყნის დიდი ტრაგიკოსი მსახიობები. ა. იმედაშვილმა დაგვიხატა, თუ ციებ-ცხელებით შეპყრობილი ლირი, ჭექა-ქუხილსა და ავდარში სიგიჟის საზღვრამდე მისულ ბოდვაში, როგორ დაქენებით ეძიებს, ნახულობს და აფხიზლებს თავის ადამიანურ გრძნობასა და აზრს. მსახიობმა წარმოგვისახა, თუ როგორი შინაგანი მღელვარებით და მწარე განცდით სტოვებს ლირი ცრურწმენას და აგებს სასტიკ სიმართლეს დაუნდობელი ცხოვრების შესახებ. შემდეგ მოქმედების გამიზნვა მეტად ორიგინალური და საინტერესოა, მაგრამ აქტიორული შესრულების მხრივ ამ სცენებში ა. იმედაშვილი ჯერ კიდევ ვერ ვნახეთ ისეთი სრულყოფით, როგორც წინა და შემდეგ მოქმედებებში.

უ. შექსპირის „მეფე ლირი" ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრში. სურათ ზე: (მარცხნიდან მარჯვნივ)—რესპ. დამს. არტისტი ც. ამირეჯიბი (გონერილა), რესპ. სახალხო არტისტი ალ. იმედაშვილი (მეფე ლირი), რესპ. სახ. არტისტი ი. ზარდალიშვილი (ედგარი), რესპ. დამს. არტისტი ვ. ჩხიკვაძე (გლოსტერი), მსახ. ან კობალაძე (საფრანგეთის მეფე), თ. ღვინიაშვილი (რეგანა), მ. გელაშვილი (კორდელია), ვ. კიწურაშვილი (ედმონდი), ა. მამრიკაშვილი (მთავარი ალბანიისა)

ალ. იმედაშვილი განსახიერებას კვლავ დიდ ძალას აღწევს კორდელიასთან შეხვედრის ამაღელვებელ სცენაში. აქ მსახიობმა საოცარი ოსტატობით ჩაატარა კორდელიას გამოცნობის მთელი სცენა; ჯერ მას ვიღაც ახლობელის ხმა ესმოდა, ვიღაც მეტად ახლობელის სახეს ხედავდა, მაგრამ ვერ მოეგონებინა; როცა ჩახვდა, მოჩვენებად მიიღო: „შენა ხარ სული უსხეულო, რად გარდაცვლილხარ?" და როცა რეალობაში დარწმუნდება, ო, რაოდენ სიყვარულს, თავისი ცოდვის რაოდენი შენანებისა და სინანულის გრძნობას გამოხატავს მისი სახე, რაოდენ ბედნიერია! იგი ახლა მხოლოდმხოლოდ მამაა— ადამიანი. უსიტყვოდ თავის საყვარელ ასულის კორდელიას წინაშე მუხლებზე დაეცემა და ისე ეხვევა...

მეხუთე მოქმედების დასასრულს ა. იმედაშვილმა კვლავ საოცარი ძალით წარმოგვისახა შვილის დაკარგვით გამწარებული მამის უბედურება დაჭრილი ლომივით დაღმუოდა კორდელიას გაციებულ გვამს: „ჰო, კორდელიავ!.. კორდელიავ!.. ნუ გამშორდები!.. ერთ წუთსა კიდევ ჩემთან დარჩი, კიდევ ერთ წუთსა." შემდეგ მისი სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა, უცბად ლირს სახე გაუფითრდა, მისი ხმა სრულიად მისწყდა, ტუჩები კი უთრთოდნენ და უხმოდ მეტყველებდნენ უსაზღვრო უბედურების შესახებ. უცებ მისი თვალებიც ჩაჰქრენ. გულის შემზარავი წუთი დადგა. რაღაც საშინელი უნდა მოხდეს! და თითქოს სანთელი ჩააქრესო, ისე ნელა და უხმოდ გარდაიცვალა.

15 წელი ამზადებდა მეფე ლირს ა. იმედაშვილი, ამიტომაც ასე სრულად აქვს მას გააზრებული ყოველი სიტყვა, ამიტომაც ასე სრულყოფით აქვს განხორციელებული მას ეს შესანიშნავი სახე, რომელიც საბჭოთა ქართული სცენის ღირსშესანიშნავ მონაპოვრად უნდა იქნას მიჩნეული.

რესპ. დამსახ. მსახიობმა ცაცა ამირეჯიბმა გონერილას სახის წარმოსახვისას კვლავ გაგვახარა თავისი კარგი მეტყველებით; ამ მსახიობს გააჩნია ნამდვილი ტრაგედიული მგზნებარება, დიდ ტემპერამენტს იჩენს, და სიმართლით განსახიერებულს თეატრალობის მაღალ ტონს უქმნის. მსახიობი დიდ ძალას იჩენს შექსპირის ტრაგედიის გმირის სულიერ სამყაროს წვდომასა და გადმოცემაში.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა იუზა ზარდალიშვილმა შექმნა ედგარის ამაღელვებელი სახე. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მესამე მოქმედებაში; ისე ცხოველმყოფელობით და სიმართლით თამაშობდა, რომ ზოგჯერ გავიწყდებოდა კიდეც რომ ედგარი განგებ ისულელებს თავს და ნამდვილად კი სრულ ჭკუაზეა.

რესპუბლიკის დამსახ. არტისტს ვ. ჩხიკვაძეს გლოსტერის ძნელად დასაძლევ როლში წარმატება ხვდა. თ. ღვინიაშვილი არ იყო ურიგო რეგანას როლში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში კიდევ უფრო უკეთესი იქნება.

მთელ რიგ საპასუხისმგებლო როლებში ვნახეთ ახალგაზრდა მსახიობები. ცხადია, მათთვის შექსპირის ტრაგედია ღირსშესანიშნავი სკოლაა. კარგი სცენიური გარეგნობით, შესრულების ზომიერებით და მონდომებული თამაშით ყურადღებას იქცევდა ედმუნდის როლში ვ. კიწურაშვილი. მას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება მართლმეტყველებისათვის და დიდი გამოცდილების შეძენა შექსპირის გმირების სრულყოფილი განსახიერებისათვის. აქტიორული კარგი თვისებებით, მომხიბვლელობით და სურათოვანი წარმოსახვით თავი გამოიჩინა ა. კობალაძემ საფრანგეთის მეფის როლში. დამაკმაყოფილებელი იყო ხუმარას როლში მ. სვანიძე. ეს როლი მეტისმეტად ძნელი, დახვეწილ ოსტატობას, დიდ გემოვნებას, გამომგონებლობას და პლასტიურობას მოითხოვს და კიდევ ბეჯითი და მუყაითი მუშაობა დასჭირდება მსახიობს, რომ თავისი შესრულება სათანადოდ სრულჰყოს. კარგი იყო ოსვალდის როლში შ. ქარცივაძე, მაგრამ მასაც სხვა ახალგაზრდებთან ერთად ჯერ კიდევ აკლია შექსპირის ტრაგედიების სულის სწორი გაგება და აღქმა. კ. გიორგობიანი (ბურგუნდიის მთავარი), ა. მამრიკაშვილი (ალბანიის მთავარი) ისე თამაშობდნენ ტრაგედიას, თითქოს საყოფაცხოვრებო პიესას ასრულებენო.

რაც შეეხება გრაფ კენტის როლის შემსრულებელს ნიჭიერ მსახიობს ვ. მეგრელიშვილს, მას კიდევ დასჭირდება მუშაობა, რომ გადასახიერების სრულ ძალას მიაღწიოს და შექსპირის ტრაგედიების შესრულებისათვის საჭირო დიდი მგზნებარება მოიპოვოს, ამისათვის კი მას ყველა მონაცემები გააჩნია. ესევე ითქმის მსახიობ ვ. გვენცაძის (კორნვალის) შესახებ. კორდელიას როლში ვნახეთ მსახიობი მ. გელაშვილი. მას სიმართლით და უშუალოდ განსახიერების ძალა აქვს, მაგრამ ზოგჯერ ყოფაცხოვრებით ტონში ვარდება.

ახალგაზრდა მსახიობთა მონაწილეობამ სპექტაკლს თავისებური იერი დაატყო, ახალგაზრდულმა გატაცებამ, ჰაბუკურმა აღგზნებამ და სიფიცხემ მთელ რიგ სცენებს მომხიბვლელობა და მიმზიდველობა მოუპოვეს.

„მეფე ლირი" დასდგა რესპ. სახ არტისტმა დ. ანთაძემ. მან შექმნა ერთი მთლიანი ანსამბლური შესრულების მაღალმხატვრული სპექტაკლი, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს. ტექსტის მოხერხებულ რეჟისორულ მონტაჟზე დამყარებული სპექტაკლის კომპოზიცია მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად არის მოფიქრებული და გემოვნებით განხორციელებული. რეჟისორს ღირსეული თანაშემოქმედება გაუწიეს მხატვარმა პროფ. დ. კაკაბაძემ და კომპოზიტორმა კ. მეღვინეთ-უხუცესმა.

ქუთაისის სცენაზე დადგმული შექსპირის „მეფე ლირი" უთუოდ წარმოადგენს მიმდინარე თეატრალური სეზონის ერთერთ ღირსშესანიშნავ დადგმას და მოწმობს ქუთაისის თეატრის და მისი კოლექტივის ზრდასა და წარმატებას.

**დ. ჯანელიძე**

## ამერიკის მთავრობის საზღვაო კომისიის თავმჯდომარის განცხადება

ვაშინგტონი, 8 მაისი (საკდესი). ამერიკის მთავრობის საზღვაო კომისიის თავმჯდომარემ, სამსახურიდან გადამდგარმა ადმირალმა ლენდმა სენატორ ვანდენბერგისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ კომისიის განკარგულებაში არსებული ცნობების თანახმად, მიმდინარე წლის პირველი 4 თვის განმავლობაში ჩაძირულია სულ 158 გემი 728 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა. ამათგან ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურებიდან გავიდა მხოლოდ 12 გემი 17 ათას ტონაზე ნაკლები წყალწყვისა. შემდეგ ლენდი სწერს, რომ მიმდინარე წლის პირველი 3 თვის განმავლობაში ამერიკის ნავსადგურებიდან ინგლისისაკენ გავიდა სულ 205 გემი, რომელთაგან 8 გემი ჩაძირულ იქნა.

როგორც სენატორი ვანდენბერგი აღნიშნავს, ლენდის წერილი მოწმობს, რომ გერმანელებმა ინგლისში გაგზავნილი ამერიკული მასალის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩასძირეს.

## ამერიკის დახმარება ინგლისისადმი

ნიუ-იორკი, 8 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, წარმომადგენელთა პალატამ 266 ხმის უმრავლესობით 120-ის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი. ეს კანონპროექტი უფლებას ანიჭებს პრეზიდენტს რეკვიზიცია მოახდინოს უცხოეთის იმ გემებისა, რომლებმაც თავი შეაფარეს ამერიკის ნავსადგურებს. პალატამ უარჰყო რამდენიმე წინადადება, რომლებიც უკრძალავენ პრეზიდენტს ერთი მეომარი ქვეყნისაგან რეკვიზირებული გემების მეორე მეომარი ქვეყნისათვის გადაცემას. სააგენტო აღნიშნავს, რომ მიღებული კანონპროექტი შეეხება უცხოეთის 100-ზე მეტ გემს, რომლებიც ამერიკის ნავსადგურებში იმყოფებიან, მათ შორის იტალიის 28 და გერმანიის 2 გემს, რომელთა კონფისკაციაც ამას წინათ მოახდინა ამერიკის ხელისუფლებამ. მოელიან, რომ ამ კანონპროექტს უახლოეს ხანში მიიღებს სენატიც. გავრცელებული ხმების თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახვა აქვთ ინგლისს გადასცენ კონფისკებული გემების ნაწილი.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრი ნოქსი სტიმსონის სიტყვას შეეხო და განაცხადა: საზღვაო სამინისტრო ემზადება მიიღოს ზომები იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს მასალების მოწოდება ინგლისისათვის, თუ სამინისტროს სათანადო განკარგულება მიეცემა. შემდეგ ნოქსმა განაცხადა, რომ ინგლისმა ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰმართა თხოვნით გადასცეს მას დაახლოებით 115 მცირე სამხედრო გემი, მათ შორის სატორპედო კატარღები, ნაღმიანი გადამლობები და ტრალერები.

## ასიგნობანი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჭიროებისათვის

ნიუ-იორკი, 8 მაისი (საკდესი). 7 მაისს რუზველტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც მომავალ საბიუჯეტო წელს სამხედრო საჭიროებისათვის გაღებული იქნება 3.415 მილიონი დოლარი, აქედან 1.515 მილიონი დოლარი გაღებული იქნება ახალი სამხედრო გემების მშენებლობისათვის, 434 მილიონი დოლარი — სამხედრო - საზღვაო ფლოტის ავიაციის გასაძლიერებლად, 142 მილიონი დოლარი — არსებული სამხედრო გემების მოდერნიზაციისათვის და 331 მილიონი დოლარი — სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და სადგურების მშენებლობისათვის.

წარმომადგენელთა პალატის საზღვაო საქმეთა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 57 მილიონი დოლარის დამატებით გაღებას ამერიკის შეერთებულ შტატებში და ხუთ სხვა ადგილას ამერიკის საზღვრებს გარეთ დირიჟაბლთა სადგურების მშენებლობისათვის.

## ერაყის ამბების გამო

ნიუ-იორკი, 8 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ერაყის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნური-საიდმა შეჰქმნა ერაყის ახალი მთავრობა ამანში (ტრანსიორდანია). ეს მთავრობა ბასრას გაემგზავრა.

სააგენტო იუწყება: მოდის ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ინგლისი ამზადებს დიდ შეტევას ერაყში, რათა ხელთ იგდოს ერაყის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები.

საომარი მოქმედების დროს ერაყში ჩამოგდებულია ინგლისის 11 თვითმფრინავი და დაზიანებულია 5. ერაყის მთავრობამ სამხედრო სამსახურში გაიწვია რეზერვისტების ორი ასაკი.

## ამერიკის გემების გადაცემა სხვა ქვეყნებისათვის

ვაშინგტონი, 8 მაისი (საკდესი). ამერიკის მთავრობის საზღვაო კომისიამ განაცხადა, რომ 1939 წლის ოქტომბრიდან 1941 წლის მარტის დამლევამდე მან გასცა ნებართვა გაეყიდათ ან სხვა ქვეყნების რეგისტრებისათვის მიეწერათ 401 გემი 1.336 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა. მათგან 180 გემი 645 ათასზე მეტი ტონა წყალწყვისა მოდის ინგლისზე, 20 გემი 94 ათასი ტონა წყალწყვისა — ბრაზილიაზე, 41 გემი 61 ათასზე მეტი ტონა წყალწყვისა — კანადაზე, 19 გემი 49 ათასზე მეტი ტონა წყალწყვისა — საფრანგეთზე, 10 გემი 42 ათასზე მეტი ტონა წყალწყვისა — საბერძნეთზე, 63 გემი 267 ათასი ტონა წყალწყვისა — პანამაზე და სხვ.

## ანკარას ჩავიდა ერაყის თავდაცვის მინისტრი

ანკარა, 8 მაისი (საკდესი). ანკარას ჩავიდა ერაყის თავდაცვის მინისტრი ნაჯი შევქეთი სპეციალური მისიით, რაც დაკავშირებულია ინგლის-ერაყის კონფლიქტში თურქეთის შუამავლობასთან.

## ლოიდ ჯორჯის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 8 მაისი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ გუშინ თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ლოიდ ჯორჯმა.

ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, ვიზიარებ იმ აზრს, რომ ინგლისს ყოველგვარი რისკი უნდა გაეწია, რათა დახმარებოდა საბერძნეთის არმიასო. მაგრამ, სთქვა მან, დღემდე არ ყოფილა ისეთი ომი, რომელშიც დიპლომატიას ესოდენ დიდი როლი შეესრულებინოს, როგორც ახლა. ყველაზე დიდი მარცხი, სთქვა შემდეგ ლოიდ ჯორჯმა, ჩვენ დიპლომატიის დარგში განვიცადეთ.

ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: როგორც ყოველთვის, ახლაც ვფიქრობ, რომ ახლანდელი ომი ხანგრძლივი იქნება და რამდენადაც მეტ ხანს გასტანს იგი, მით უკეთესი იქნება ინგლისის შანსები. მაგრამ მას ძალიან მძიმე დღეების გადატანა მოუხდებაო.

ლოიდ ჯორჯი შეეხო ინგლისისადმი ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებას და განაცხადა: „თუ კი ამერიკას განუზრახავს შეგვიქმნას შესაძლებლობა ვებრძოლოთ და გავუსწოროთ გერმანიას, მაშინ მან უნდა გააკეთოს იმაზე გაცილებით მეტი, რასაც, არსებული ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახლა აკეთებს. ამასობაში ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ მუშა-ხელის გამოყენება და შევქმნათ სურსათ-სანოვაგის მარაგი".

ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრთან უნდა შეიქმნას მცირე სამხედრო საბჭო სამი ან ოთხი „სრულიად დამოუკიდებელი, გამოცდილი და კეთილგონიერი ადამიანის" შემადგენლობით.

## ლოიდ ჯორჯმა თავი შეიკავა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებისაგან

ლონდონი, 8 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯმა, რომელმაც გუშინ თემთა პალატაში სასტიკად გააკრიტიკა ინგლისის მთავრობა, თავი შეიკავა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებისაგან.

## უცხოეთის ქრონიკა

⊙ ოტავაში (კანადა) თვითმფრინავით ჩავიდა ავსტრალიის პრემიერ მინისტრი მენზისი. მენზისი იწვევა კანადის მფრინავთა მოსამზადებელ სკოლებს, სადაც ბევრი ავსტრალიელი სწავლობს.

⊙ ა. შ. შტატების სამხედრო სამინისტრომ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს პანამის არხი ღიად იქონიოს საჰაერო ნაოსნობისათვის.

⊙ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ოჰასის არყოფნის დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მოვალეობის დროებით აღმსრულებლად დანიშნულია იამამოტო კუმაიცი. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ოჰასი საავადმყოფოში იმყოფება.

⊙ სამხედრო - სატრანსპორტო გემმა „ვაშინგტონმა" მანილაში ჩაიყვანა 2.000 ჯარისკაცი და ჩაიტანა თვითმფრინავები. ეს არის ჯარის მეორე რაზმი, რომელიც ამ გემით ფილიპის კუნძულებზე ჩაიყვანეს.

⊙ ამერიკელების შემდეგ შანხაიდან იხიზნებიან ინგლისელებიც. 17 მაისს 400-ზე მეტი ინგლისელი შანხაიდან ჰონკონგსა და მანილაში წავა.

⊙ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ერაყის შეიარაღებული ძალები 50 ათასი კაცისაგან შესდგებიან. მათ ჰყავთ 3 ქვეითი დივიზია, სასაზღვრო დაცვის 3 ბატალიონი, 3 ცხენოსანი პოლკი და ორი ესკადრონი, ცხენწევიანი 9 ბატარია, საველე არტილერიის 17 ბატარია, საზენიტო არტილერიის 3 ბატარია, 33 სამხედრო თვითმფრინავი და რამდენიმე სასწავლო თვითმფრინავი.

8 მაისი (საკდესი).

„მეფე ლირი". ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრი. V აქტი.

## სამილიციო ქვედანაყოფების ძირეული პრესის მუშაკთა საგარნიზონო კრება

8 მაისს შესდგა სამილიციო ქვედანაყოფების ძირეული პრესის, მილიციელ კორესპონდენტების, პოლიტხელმძღვანელების, სამილიციო განყოფილებათა უფროსების და მრავალტირაჟიანი გაზეთის „საბჭოთა მილიციელის" აქტივისა და მკითხველების თბილისის საგარნიზონო კრება, რომელსაც 200-მდე კაცი დაესწრო. კრება მიძღვნილი იყო ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი და სამილიციო ქვედანაყოფების ძირეული პრესის დათვალიერების შედეგებისადმი.

კრების მოწვევის აღსანიშნავად გამართა სამილიციო კედლის გაზეთების გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 60-მდე კედლის გაზეთი.

საგარნიზონო კრებაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა გაზ. „საბჭოთა მილიციელის" რედაქტორი ამხ. შ. ჯანაშვილი. მოხსენების ირგვლივ გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს—ამხ. სოსელიამ, აბზიანიძემ, ცაცაფიამ, ლომიძემ, ფარულავამ, სპირდონოვმა, გურაშვილმა, მირზოევმა და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანებში გაზ. „საბჭოთა მილიციელმა" შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა და ხელმძღვანელობა სამილიციო კედლის გაზეთებისადმი.

შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ გ. ქაჯურიას ბრძანება სამილიციო ქვედანაყოფების ძირეული პრესის დათვალიერებაში დაწინაურებული კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიათა დაჯილდოების შესახებ. პირველი ჯილდო მიუსაჯეს ქ. თბილისის მე-5 სამილიციო განყოფილების კედლის გაზეთის „სადარაჯოზე"-ს სარედაქციო კოლეგიას. საუკეთესო კედლის გაზეთები იგზავნება საკავშირო გამოფენაზე, რომელიც მოეწყობა მოსკოვში.

## სახელმწიფო გამოცდები უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში

7-8 მაისს თბილისის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში დაიწყო სახელმწიფო გამოცდები. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდებზე დაშვებულია 426 კაცი, სტომატოლოგიურში—169, ხოლო ფარმაკო-ქიმიურ ინსტიტუტში—80-მდე.

სახელმწიფო გამოცდების პირველმა დღემ თბილისის სტომატოლოგიურსა და სამედიცინო ინსტიტუტებში გვიჩვენა, რომ წელს სტუდენტები უკეთ მომზადებულნი მოვიდნენ გამოცდებზე

## საქართველოში გამომუშავებული მედიკამენტები მაღალ შეფასებას იღებენ

საქართველოს სსრ ჯანსახკომის ფარმაცევტულ ქარხანაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დიდი კლინიკებიდან და ინსტიტუტებიდან მიიღეს მოწონების ფურცლები ამავე ქარხნის მიერ გამოშვებული ახალი მედიკამენტების—დიგალენ-ნეოს, ილარგოლის და ვაშლისმჟავა რკინის ექსტრაქტის სამკურნალო თვისებების შესახებ.

სამივე ამ ძვირფას მედიკამენტს ქარხანაში ამზადებენ ისეთი რაოდენობით რამდენიც საჭიროა მთელი საბჭოთა კავშირის სამკურნალო ქსელის უზრუნველსაყოფად. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. კონჩალოვსკის (მოსკოვი) კლინიკიდან იუწყებიან, რომ საქართველოდან მიღებული დიგალენი არა თუ არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთულს, არამედ ბევრად უკეთეს ეფექტსაც იძლევა (დიგალენს ხმარობენ გულის სნეულებათა მკურნალობის დროს).

განსაკუთრებული ეფექტი მიუღიათ ვაშლისმჟავა რკინის ექსტრაქტით მალარიით დაავადებულთა მკურნალობისას. ეს ექსტრაქტი რადიკალურად აუმჯობესებს მალარიის შედეგად გამოწვეული სისხლნაკლულობით შეპყრობილთა მდგომარეობას და ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტები ამ ექსტრაქტს ახლა დიდი რაოდენობით თხოულობენ.

გარდა ამ სამი სახელწოდების ძვირფასი მედიკამენტისა, წელს ფარმაცევტული ქარხანა სამკურნალო ქსელს მიაწოდებს 80 სახელწოდების სხვა მედიკამენტებს, რომელთაც ამზადებენ საქართველოში მოპოვებული ნედლი მასალისაგან (სამკურნალო ბალახებისაგან).

## საკონსულტაციო ბიუროს ჩამოყალიბება სავეტერინარო დარგში მომუშავეთათვის

საქართველოს სავეტერინარო სამეცნიერო-კვლევითს საცდელ სადგურს რაიონებში და რესპუბლიკის ქალაქებში მომუშავე სავეტერინარო დარგის მუშაკთაგან მოსდიოდა აურაცხელი შეკითხვები მუშა-საქონლისა და საერთოდ შინაურ ცხოველთა ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა მკურნალობის საკითხებზე. შეკითხვების სიუხვე ცხადჰყოფდა, რომ საჭიროა რესპუბლიკაში არსებობდეს ცენტრალური საკონსულტაციო ბიურო, რომელიც დახმარებას გაუწევს ადგილებზე მომუშავე ვეტპერსონალს პრაქტიკულ საქმიანობაში.

პრაქტიკულად მომუშავე ვეტპერსონალისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით საქართველოს სავეტერინარო სამეცნიერო-კვლევითს საცდელ სადგურთან ჩამოყალიბებულია მუდმივად მოქმედი საკონსულტაციო ბიურო, რომელსაც დავალებული აქვს ვეტპერსონალს აღმოუჩინოს დახმარება როგორც სადიაგნოზო ტექნიკის, აგრეთვე ე. წ. ბაქტერიალური ნიადაგების დამზადების მხრივ. საკონსულტაციო ბიუროს დავალებული აქვს აგრეთვე გაუწიოს დახმარება სავეტერინარო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებს.

საკონსულტაციო ბიუროს მისამართია: საქ. სავეტერინარო სამეცნიერო-კვლევითი სადგური. თბილისი, მარის ქ. № 17.

## კრივი

### „სპარტაკის" პირველობაზე

8 მაისს თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიხსნა ლენინის ორდენოსანი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" მოკრივეთა მე-6 საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობს მოსკოვლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების 100-ზე მეტი საუკეთესო მოკრივე.

მონაწილეთა შორის არიან სსრ კავშირის ჩემპიონები გ. ვართანოვი (თბილისი) და გ. კაცი (უკრაინის სსრ), სსრ კავშირის ყოფილი ჩემპიონები ვ. სტეპანოვი, ი. განიკინი, ნ. შტეინი, ა. პაპიანი, სპორტის ოსტატები კლიმოვი, ჯენდო და სხვ.

მოკრივეთა პარადი მიიღო შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. გოლდშტეინმა. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ შეჯიბრების გახსნის აღსანიშნავად „სპარტაკის" დროშა აღმართა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა გ. ვართანოვმა.

პირველ დღეს რინგზე გამოვიდა 13 წყვილი. ამ შეხვედრებში დიდ წარმატებას მიაღწიეს გ. ვართანოვმა (თბილისი), ი განიკინმა (მოსკოვი), პოპოვმა (სოხუმი), ა. პაპიანმა (სომხეთის სსრ), მელაძემ (თბილისი) და სხვ. შესანიშნავი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გამოავლინეს ტრუსტმა (ლატვიის სსრ) და იოლკასმა (ლიტვის სსრ), რომელთა რინგზე გამოსვლას მაყურებლები მხურვალე ტაშით შეეგებნენ.

მოკრივეთა შეჯიბრება 12 მაისამდე გასტანს. მატჩები ტარდება სახცირკის შენობაში ყოველდღე—დღისით 12 საათიდან 5 საათამდე, საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.

## რადიოგადაცემა დღეს

09.00—გაზეთ „პრავდას" მოწინავე; 09.15—გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 09.25—კონცერტი (ძველებური ქართული სიმღერები); 10.50 კონცერტი; 11.30—თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე: 11.50 —ინფორმაციები; 12.00—ქართული მუსიკის კონცერტი; 12.58—დროის შემოწმება; 13.00—უკანასკნელი ცნობები; 13.15—კონცერტი; 14.15 — კონცერტი ციკლიდან: „რუსული საფორტეპიანო მუსიკა"; 16.50—გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე; 17.30—ინფორმაციები; 17.45—საუბარი თემაზე: „პარტიული აგიტაცია"; 18.00—საჯაზო მუსიკის კონცერტი; 18.55—ინფორმაციები; 19.00—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენაზე; 19.30—კონცერტი; 19.58 — დროის შემოწმება; 20.00—უკანასკნელი ცნობები; —20.45—კონცერტი საქრადიოკომიტეტის სიმებიანი კვარტეტის შესრულებით; 21.15—საუბარი თემაზე: „ჭაზაფხული კოლმეურნეობაში"; 21.30—ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე: ი. ფრანკო „სინათლისაკენ"; 22.00—უკანასკნელი ცნობები; 22.06—კონცერტი; 23.05—საესტრადო კონცერტი; 23.45 საცეკვაო მუსიკა; 00.10—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30—უკანასკნელი ცნობები (მოსკოვიდან).

## პოეტ ი. გრიშაშვილის საღამო

კვირას, 11 მაისს, საქ. მედსანშრომის მუშაკთა კავშირის მარშალ ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) გაიმართება პოეტ ი. გრიშაშვილის საღამო. გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვა ამხ. ბ. ჟღენტი.

საღამოს პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები და მწერლები და აგრეთვე კლუბთან არსებული ლიტერატურული წრის წევრები.

საღამოს მართავს მარშალ ვოროშილოვის სახელობის კლუბი და ადგილობრივი ლიტერატურული წრე. საღამო დაიწყება 8 საათზე.

## „ერეკლე მეორე"

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი დასადგმელად ამზადებს დრამატურგ ლ. გოთუას ისტორიულ პიესას „ერეკლე მეორე" ამ პიესაში ასახულია საქართველოს XVIII საუკუნის შესანიშნავი მოღვაწის ერეკლე მეორის ცხოვრებას ცალკე ეპიზოდები.

პიესას სდგამს რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი. (საქდესი).

## ლექციები

11 მაისს, საღამოს 7½ საათზე. თბილისის მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) შესდგება ამხ. არკადი ხუნდაძის ლექცია. თემა: „ა. ს მაკარენკო და მისი პედაგოგიური პოემა".

დასწრება თავისუფალია

12 მაისს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპ., № 21) საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება ატარებს პროფ. ათაბეგოვის ლექციას რუსულ ენაზე. თემა: „ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ აუზის ქვეყნები" (პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა).

ბილეთები იყიდება სალაროში დღის 12 საათიდან სად 9 საათამდე

12 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის შენობაში (საბჭოს ქ. № 134) ამხ. მელქაძე წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზე. თემა: „სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები".

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

12 მაისს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ჩატარდება ამხ. სტურუას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „პარტიის XVI ყრილობა და გაშლილი სოციალისტური შეტევა ყველა ფრონტზე" (საკ კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან).

## ფეხბურთი

### მოსკოვი—თბილისი

11 მაისს თბილისის ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდება მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობენ თბილისის „დინამოს" საჩვენებელი გუნდი და მოსკოვის პროფკავშირების მე-2 ნაკრები გუნდი.

დასაწყისი 5 საათზე.

## შეცდომის გასწორება

„კომუნისტის" 9 მაისის ნომრის პირველ გვერდზე მოთავსებული ინფორმაციის „ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღის შესახებ" პირველი აბზაცის მეორე და უკანასკნელი აბზაცის მე-8 სტრიქონებში ნაცვლად სიტყვისა „საერთაშორისო", უნდა იყოს „სრულიად-საკავშირო".

## დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, დამკვრელი და 26 კომ. სახელობის—„იუდენიჩის განადგურება", ოქტომბერი, ლუქსემბურგის სახ. და განთიადი—„ქალიშვილი გამიდან", კომკავშირელი — „კარო", სპარტაკი — „ვალერი ჩკალოვი", კომინტერნი და ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „შემთხვევა ვულკანზე", მეცნიერება და ცოდნა—„დიადი განთიადი", ორჯონიკიძის სახ. პარკი—„დარიკო", ვოროშილოვის სახელობის კლუბი — „ბოგდან ხმელნიცკი".

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი


სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულორის პლატო)

10 მაისი ესტრადაზე კონცერტი დასაწყისი საღამოს 9 საათზე

11 მაისი ესტრადაზე სიმღერის საღამო

საცეკვაო მოედანზე საერთო ცეკვები

10 მაისი

11 მაისს დილით დიდი სახალხო სეირნობა დასაწყისი 11 საათზე.

10 და 11 მაისს ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი

ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლი

10 და 11 მაისს პატარა ცისფერი კლდეები


ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ., № 28.